მალხაზ მაცაბერიძე

რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური კონცეფციები (1901-1917)

თბილისი
2019

სარჩევი

შესავალი 5
1. უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II და რუსეთის
იმპერიის დიდი გეგმები.....9
რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები 9
რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის გამწვავება 11
2. დიმიტრი მილიუტინი: ბრიტანეთთან მეტოქეობიდან
სტრატეგიულ მოთმინებამდე.....13
ბიოგრაფიული ცნობები 14
გეოსტრატეგიის ძირითადი პრინციპები 16
ყირიმის ომის (1853-1856) შემდეგ: გეოპოლიტიკური
გათვლები ბრიტანეთის გასანეიტრალებლად 18
რუსეთ-იაპონიის ომის (1904-1905) შემდეგ: ახალი
გეოპოლიტიკური რეალობა.....18
ჩინეთი: შესაძლო დამატებითი საფრთხე შორეულ
აღმოსავლეთში 20
რა უნდა გააკეთოს რუსეთმა ახალ გეოპოლიტიკურ
რეალობაში 20
შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის პოზიციების
დასაცავად გასატარებელი ღონისძიებები.....21
მილიუტინის გეოპოლიტიკური ანდერძი 22
3. ანდრეი სნესარევი: რუსეთის იმპერიის გაფართოების
გეგმები 23
ბრიტანეთის იმპერია - რუსეთის მთავარი
მოწინააღმდეგე.....23
სნესარევის „წითელი“ არჩევანი 24
რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდა 25
რუსეთ-ინგლისის 1907 წლის შეთანხმება.....27
4. დიმიტრი მენდელეევი: „სანუკვარი აზრები“.....28

ომებისა და ექსპანსიის მიზეზები.....29
როგორ უნდა შეინარჩუნოს რუსეთმა მოპოვებული სივრცე 30
რუსეთის სამი ცენტრი 31
რუსეთის მთლიანობა.....32
დიდი სახელმწიფოების მსოფლიო 33
რუსეთი დიდ სახელმწიფოებს შორის 34
წყნარი ოკეანის მნიშვნელობა რუსეთისათვის 35
რა უნდა ყოფილიყო რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ 36
5. სემიონოვ-ტიან-შანსკი: სივრცეზე გეოპოლიტიკური ბატონობის კონცეფცია.....37
ბიოგრაფიული ცნობები 38
დედამიწის "კრიტიკული ზონა" 39
მთავარი გეოპოლიტიკური აღმოჩენა: სივრცის გეოპოლიტიკური კონტროლის ფორმები.....40
რუსული ევრაზიის კონცეფცია.....46
სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლება...47
რუსეთის კოლონიზაციური ბაზები.....48
ჩანერგვა და დაპყრობა.....50
საგზაო კომუნიკაციების სრულყოფის გეგმა.....51
ანთროპოლოგიური ხედვა გეოგრაფიულ დეტემინიზმში52
6. ალექსეი ვანდამი (ედრიხინი): შეტევა სამხრეთისაკენ...53
ბიოგრაფიული მონაცემები.....53
გეოპოლიტიკური კონცეფციის ამოსავალი პრინციპები54
საერთაშორისო ურთიერთობების გეოსტრატეგიული ანალიზი.....55
რუსეთის მიზანი 56
ანგლო-საქსები - რუსეთის მოწინააღმდეგეები 57
რუსეთის გეოსტრატეგიის ძირითადი მიზანი.....60
ვერტიკალური კონტროლის მოდელი.....60
დამორჩილება სამხედრო დაპყრობის გარეშე 61

რუსეთის სამხრეთული ფრონტი 62
კონტინენტური სახელმწიფოს სტრატეგია 63
7. ივან დუსინსკი: იმპერიული ორიენტაციები.....64
დუსინსკი - ბიოგრაფიული ცნობები 64
დუსინსკი - კონტინენტური გეოპოლიტიკის
წარმომადგენელი 65
რუსეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური
ამოცანები.....66
სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდის სახეები 67
რუსეთის „ტერიტორიული განვითარების“ შესახებ.....69
რუსეთის სლავური პოლიტიკა 71
რუსულ-სლავური ფედერაციული სახელმწიფოს
პერსპექტივა 72
პოლონეთის საკითხი და ავსტროსლავიზმის საფრთხე 73
8. პირველი მსოფლიო ომი და რუსეთის ტერიტორიული
პრეტენზიები.....75
აღმოსავლეთ პრუსია და პოლონეთის საკითხი.....75
ავსტრია-უნგრეთში შემავალი უკრაინის დასავლეთ
ნაწილის შეერთება.....76
რუსეთის წილი ოსმალეთის იმპერიის დანაწილებიდან78

შესავალი

1904 წლის 25 იანვარს, როდესაც სერ ჰელფორდ ჯ. მაკინდერი (1861-1947) სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით "ისტორიის გეოგრაფიული ღერძი", შესაძლოა ვერც წარმოიდგენდა, რომ ამით საფუძველი ჩაუყარა ახალი დისციპლინის ერთ-ერთ უმთავრეს თეორიას. ამ დისციპლინას შემდეგ გეოპოლიტიკა ეწოდა. მაკინდერი საუბრობდა იმ საფრთხეზე, რაც ევრაზიის უზარმაზარი კონტინენტის გულიდან მომდინარეობდა ევრაზიის განაპირა მხარეებისათვის და ეს ისტორიულ კანონზომიერებად მიაჩნდა.

მაკინდერს თავის მოხსენებაში არ უხსენებია, მაგრამ ისტორიისა და გეოგრაფიის მოშველიებით ცდილობდა აეხსნა ის დაპირისპირება, რაც XX საუკუნის პირველ წლებში არსებობდა ბრიტანეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის. დაპირისპირება უაღრესად მწვავე იყო - რუსეთი აძლიერებდა თავის პოზიციებს შორეულ აღმოსავლეთში, ცდილობდა შემდგომ ტერიტორიულ გაფართოებას მანჯურიის და კორეის მიმართულებით, შუა აღმოსავლეთში რუსეთის პრეტენზიები სპარსეთზე, ავღანეთზე და ტიბეტზეც ვრცელდებოდა. რუსეთის იმპერიის ახალი ტერიტორიული მისწრაფებები ბრიტანეთის შეშფოთებას იწვევდა, რომელსაც განსაკუთრებით აშფოთებდა რუსეთის მოსაზღვრეობის პერსპექტივა მის მთავარ კოლონიასთან - ინდოეთთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია მაკინდერის მოხსენების პათოსიც, მაგრამ ინგლის-რუსეთის იმპერიების დიდი დაპირისპირება არ შედგა. მაკინდერის მოხსენების წაკითხვიდან რამდენიმე დღეში იაპონია თავს დაესხა რუსეთს და დაამარცხა (1904-1905 წლები). ამით მკვეთრად შეამცირა რუსეთის იმპერიის ამბიციები შორეულ აღმოსავლეთში. გერმანია-ინგლისის წინააღმდეგობის გამწვავებამ კი გამოიწვია ინგლის-საფრანგეთის და შემდეგ ინგლის-რუსეთის დაახლოება, რაც 1907 წლის ინგლის-რუსეთის

შეთანხმებით დამთავრდა შუა აღმოსავლეთში „გავლენის სფეროების“ გამიჯვნის თაობაზე.

მაკინდერმა 1904 წლის იანვარში, თავის მოხსენებას რომ კითხულობდა, სავარაუდოდ არ იცოდა, რომ ევრაზიულ სახმელეთო იმპერიაში ასევე იყვნენ ადამიანები, რომლებიც რუსეთის „დერჟავას“ საერთაშორისო მდგომარეობას აანალიზებდნენ და ქმნიდნენ გეოპოლიტიკურ კონცეფციებს, თუმცა, მაკინდერის მსგავსად, ეს ტერმინი მათ არასოდეს გამოუყენებიათ. სამაგიეროდ დისციპლინა სახელწოდებით „გეოპოლიტიკა“ უაღრესად პოპულარულია თანამედროვე რუსეთში, დაწყებული საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდან.

თანამედროვე რუსულ გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა რუსული გეოპოლიტიკური აზროვნების შესწავლას და ეს აიხსნება რამდენიმე მიზეზით: ერთი მხრივ, ამით ცდილობენ აჩვენონ, რომ რუსეთში გეოპოლიტიკური კონცეფციები დასავლეთში გეოპოლიტიკის ჩამოყალიბების პერიოდშივე შეიქმნა; მეორე მხრივ, ხაზი ესმება თანამედროვე რუსული გეოპოლიტიკური აზროვნების კავშირს წარსულთან. რუსი გეოპოლიტიკოსების ადრინდელ ნააზრევში ხედავენ იმ იდეებს, რაც აქტუალურად მიაჩნიათ თანამედროვე რუსეთისთვის.

რუსი მკვლევარი ი. ა. ვასილენკო აღნიშნავს, რომ რუსულ პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი "გეოპოლიტიკა" შედარებით გვიან დამკვიდრდა - 1990-იანი წლებიდან, ამიტომ გეოპოლიტიკის რუსულ სკოლას, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა, დიდხანს არ ექცეოდა ყურადღება და მას პრაქტიკულად არავინ სწავლობდა. მისი თქმით, თანამედროვე რუსული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები გეოპოლიტიკაში სავსეა დასავლეთელი ავტორების კონცეფციებით, მაგრამ იქ თითქმის არაა რუსი ავტორები. "მაგრამ ეს უსამართლობაა: რუსული გეოპოლიტიკური ტრადიცია სავსეა ღრმა ორიგინალური იდეებით,

რომლებიც ათასწლეულების მიჯნაზე არაჩვეულებრივად აქტუალურია".[1]

უნდა ითქვას, რომ ვასილენკოს ეს შენიშვნა გაკეთებულია მაშინ, როდესაც რუსულ გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში უკვე აქტიურად დაწყებული იყო რუსული გეოპოლიტიკური აზროვნების ისტორიის შესწავლა და გეოპოლიტიკის სახელმძღვანელოებში აუცილებლად შეჰქონდათ თავები და პარაგრაფები "რუსული გეოპოლიტიკური სკოლის" და მისი ჩამოყალიბების ისტორიის შესახებ.

რუსული გეოპოლიტიკური აზროვნების მრავალსაუკუნოვნების ჩვენებასთან ერთად, როდესაც მიუთითებენ ამა თუ იმ ავტორთან ცალკეული გეოპოლიტიკური იდეების არსებობაზე, აღნიშნავენ რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ფუძემდებლებსაც: ასეთად მიიჩნევა სამხედრო გეოგრაფი და სტატისტიკოსი დ. ა. მილიუტინი, ასევე ა. ვანდამი, რომელმაც 1912 წელს გამოსცა გეოპოლიტიკური ნაშრომი "ჩვენი მდგომარეობა". რუსული გეოპოლიტიკური სკოლის პირველ ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენლად კი გამოცხადებულია ვ. პ. სემიონოვ-ტიან-შანსკი - ისიც აღინიშნება, რომ ესაა ერთადერთი ავტორი, რომელიც გეოპოლიტიკურ იდეებს საბჭოთა რუსეთში ავითარებდა (1920-1930-იან წლებში იყო ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის ქვეყანათმცოდნეობის პროფესორი).[2] XX საუკუნის დასაწყისის რუსული გეოპოლიტიკური კონცეფციების განხილვისას აუცილებლად მოიხსენიება ცნობილი ქიმიკოსის დ. მენდელეევის გეოპოლიტიკური ნააზრევიც.

რუსული გეოპოლიტიკური კონცეფციების ფორმირებაზე კი უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა მოახდინა ცნობილი რუსი გეოგრაფების ნაშრომებმა, რომელთაც კარგი თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა შექმნეს რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ჩამოყალიბე-

---

[1] И.А.Василенько. Геополитика современного мира. М.: Гардарики, 2006, с.127

[2] Н.А.Нартов, В.Н.Нартов. Геополитика.М.:ЮНИТИ-ДАНА, 2007, с.109

ბისათვის. მათ შორის პირველ რიგში აღინიშნება ლ. ი. მეჩნიკოვის და ნ. ი. დანილევსკის ნაშრომები.

თუმცა, არსებობს რუსული გეოპოლიტიკის განვითარების სხვა ხედვებიც. მაგალითად, ევგენი მოროზოვის აზრით, გეოპოლიტიკის რუსული სკოლის ჩამოყალიბების წინამორბედებად მიაჩნია ვ. ტატიშჩევი და და მ. ლომონოსოვი, თავად გეოპოლიტიკის რუსული სკოლის განვითარებაში კი უნდა გამოიყოს სამი ეტაპი: ი. კირეევსკის საპროგრამო ნაშრომით „მეცხრამეტე საუკუნე“ და მთავრდება კ. ლეონტიევით და დ. პობედონოსცევით. მას მოსდევს და გარკვეულწილად მის პარალელურად არსებობდა სამხედრო-გეოპოლიტიკური სკოლა, რომელსაც რუსული გეოპოლიტიკის მეორე ეტაპად მიაჩნია. მის ფუძემდებლად მიიჩნევა პ. იაზიკოვი 1837 წელს გამოსული ნაშრომით „სამხედრო გეოგრაფიის თეორიის“ შესახებ. თუმცა ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი იყო დ. მილიუტინი. მესამე ეტაპი რუსული გეოპოლიტიკის განვითარებაში კი იყო ემიგრაციაში ჩამოყალიბებული ევრაზიული სკოლა, რომელიც 1921 წელს იღებს სათავეს.[3]

მოცემულ ნაშრომში განხილულია ის გეოპოლიტიკური კონცეფციები, რომლებიც ასახავენ XX საუკუნის დასაწყისში არსებულ ვითარებას. მათ განხილვას ვაერთიანებთ სათაურით „რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური კონცეფციები (1901-1917), თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ განხილული ნაშრომების დიდი ნაწილი რუსეთ-იაპონიის ომის (1904-1905) შემდეგ შექმნილი რეალობის ასახვას წარმოადგენს.

---

[3] Евгений Морозов. Геополитическая школа Д. А. Милютина - http://xn--80aa2bkafhg.xn--p1ai/14182/%D0%93%D0%B5%D0%BE%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%82%D0%B8%D1%87%D0%B5%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F-%D1%88%D0%BA%D0%BE%D0%BB%D0%B0-%D0%94.-%D0%90.-%D0%9C%D0%B8%D0%BB%D1%8E%D1%82%D0%B8%D0%BD%D0%B0

1. უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II და რუსეთის იმპერიის დიდი გეგმები

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის პოზიციები უაღრესად მტკიცედ და შეურყევლად გამოიყურებოდა. რუსი დიპლომატის ა. დ. კალმიკოვის მოგონების თანახმად, მაშინ რუსეთის ხელისუფლებას უდიდესი ძალის და აბსოლუტური უსაფრთხოების განცდა ქონდა. „რუსეთს არავისი და არაფრის ან ეშინოდა. ასეთი იყო საერთო აზრი; მასში ეჭვის შეტანა სარისკო იყო - მაშინვე ბრალს დასდებდნენ პატრიოტიზმის ნაკლებობაში“. რამდენად გამართლებული იყო ასეთი განწყობა, სხვა საკითხია. მისივე თქმით, მხოლოდ დიპლომატების ვიწრო წრეში ბერლინის 1878 წლის კონგრესის შემდეგ არსებობდა უცხოეთის დიდ სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოებთან შეჯახების შიში.[4]

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მკვეთრად გამწვავდა მეტოქეობა დიდ სახელმწიფოებს შორის კოლონიებისა და გავლენის სფეროებისათვის. რუსეთის საგარეო პოლიტიკას ტრადიციულად სამი პრიორიტეტული მიმართულება ჰქონდა: ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და ბალკანეთი, შორეული აღმოსავლეთი.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები

რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულება ევროპა იყო, სადაც თავმოყრილი იყო მისი სტრატეგიული და საგარეო-ეკონომიკური ინტერესები. ამავე დროს ევროპიდან მომდინარეობდა მთავარი მუქარები რუსეთის უსაფრთხოებისათვის. რუსეთის მთავარი მიზანი იყო ევროპაში მშვიდობის შენარჩუნება კონტინენტის დიდ სახელმწიფოებს შორის წონასწორობის შენარჩუნების გზით. რუსეთის ევროპული პოლიტიკის საფუძველი იყო საფრან-

[4] История России. XX век. Том I. Москва: Издательство «Э», 2018, стр.105

გეთთან 1891-1893 წლებში გაფორმებული სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. იმავდროულად რუსეთის დიპლომატია ცდილობდა კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას გერმანიასთან, რომლის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება სულ უფრო იზრდებოდა. გერმანიის მოკავშირე იყო ავსტრია-უნგრეთის იმპერია, რომელიც რუსეთის ტრადიციული მეტოქე იყო ბალკანეთის სლავ ხალხებზე გავლენის მოპოვებაში. რთული ურთიერთობა ჰქონდა რუსეთს ინგლისთან არა მარტო ევროპაში, არამედ ახლო და შუა აღმოსავლეთშიც.

რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის მეორე უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო ახლო აღმოსავლეთი და ბალკანეთი. რუსეთის ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები მოითხოვდა შავი ზღვის სრუტეებში თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობას. ამას ემატებოდა რელიგიური მოტივები: რუსეთის სამხედრო და დიპლომატიურ წრეებში დიდი ხანია სურდათ ბიზანტიის იმპერიის ყოფილი დედაქალაქის, - კონსტანტინეპოლის ხელში ჩაგდება, თუმცა ევროპის დიდი ქვეყნების წინააღმდეგობა ფრთხილი მოქმედებისკენ უბიძგებდათ. ეს გამოცდილება რუსეთმა 1853-1856 და 1877-1878 წლების ომების დროს მიიღო.

ბალკანეთში რუსეთი მხარს უჭერდა სლავი ხალხების განთავისუფლებას ოსმალთა ბატონობისგან, მაგრამ აქ რუსეთის რეალური შესაძლებლობები შეზღუდული იყო. რუსეთის ძირითადი მეტოქე ბალკანეთში ავსტრია-უნგრეთი იყო. თუმცა რუსეთის დიპლომატია ცდილობდა თავიდან აეცილებინა ურთიერთობის გართულება ვენასთან. 1897 და 1903 წლებში რუსეთსა და ავსტრიას--უნგრეთს შორის გაფორმდა შეთანხმებები ბალკანეთში სტატუს-კვოს შენარჩუნების თაობაზე და ამით დროებით თავიდან იქნა აცილებული დიდი კონფლიქტი რეგიონში.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება იყო შორეული აღმოსავლეთი, რომლის მნიშვნელობაც სულ უფრო იზრდებოდა. მოსკოვისა და ვლადივოსტოკის დამაკავშირებელი რკინიგზის აშენებამ კიდევ უფრო გაზარდა რუსეთის გავლენა ჩინეთსა და კორეაში. 1896 წელს რუსეთმა ჩინეთთან გააფორმა ხელშეკრულება „ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის მშენებლობის“ შესახებ. ეს იყო

ტრანსციმბირული რკინიგზის ბოლო მონაკვეთი, რომელიც მანჯურიაზე გაივლიდა ჩიტას ვლადივოსტოკთან დააკავშირებდა. 1897 წელს რუსეთმა ხელში ჩაიგდო პორტ-არტური, შემდეგ კი ჩინეთს თავს მოახვია ხელშეკრულება კვანტუნის ნახევარკუნძულის იჯარით გადაცემის თაობაზე.

რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის გამწვავება

შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის წარმატებები დიდ რისკსაც შეიცავდა. რუსეთის შეღწევა მანჯურიაში და კორეაში განსაკუთრებით აღიზიანებდა იაპონიას და ინგლისს. ფინანსთა მინისტრი ს. ვიტე, საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. ლამზდორფი და სამხედრო მინისტრი ა. კუროპატკინი შედარებით ფრთხილი მოქმედების მომხრენი იყვნენ, მაგრა იმპერატორი ნიკოლოზ II გადამწყვეტი მოქმედების მომხრე იყო და ამაში მას სტატს-მდივნის ა. ბეზობრაზოვის გუნდი აგულიანებდა.

ჩინეთში „ბოქსიორთა“ აჯანყების (1900) დროს რუსეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ევროპის სახელმწიფოთა მიერ მოწყობილ ინტერვენციაში და მანჯურიის სრული ოკუპაცია მოახდინა, შემდეგ კი დიდი ხნის განმავლობაში არ გაჰყავდა იქიდან ჯარი, ინგლისისა და გერმანიის პროტესტების მიუხედავად. 1900-1904 წლებში რუსეთში გამოცემულ რუქებზე მანჯურია უკვე რუსეთის ფერებში იყო წარმოდგენილი. პეტერბურგში უკვე ფიქრობდნენ ამ ტერიტორიის გადაქცევას „რაიმე ბუხარის მსგავს“ ვასალურ სახელმწიფოდ.[5] რუსეთის ამგვარმა ქმედებამ ფაქტობრივად საფუძველი გამოაცალა ჩინეთთან მის მოკავშირეობას.

1901 წლის შემოდგომაზე პეტერბურგში ჩავიდა იაპონიის წარმომადგენელი მარკიზი იტო. იაპონია მზად იყო ეცნო რუსეთის დომინირება მანჯურიაში, სანაცვლოდ კი ითხოვდა კორეაში იაპონიის თავისუფალი მოქმედების უფლებას. რუსეთის მმართველი წრეები კორეაზეც ფიქრობდნენ თავიანთი გავლენის გავრცელებას და იმ-

[5] История России. XX век. Том I. Москва: Издательство «Э», 2018, стр.105

პერატორმა უარყო იაპონიის წინადადება. მაშინ იაპონიამ 1902 წლის 30 იანვარს სამოკავშირეო ხელშეკრულება გააფორმა ინგლისთან.

რუსეთი დიპლომატიურ იზოლაციაში აღმოჩნდა. მოკავშირე საფრანგეთი ვერ დაეხმარებოდა, - საფრანგეთი ინგლისთან დაახლოებას ცდილობდა, თანაც რუსეთის ძალები მას შორეულ აღმოსავლეთში კი არა, ევროპაში სჭირდებოდა გერმანიის წინააღმდეგ. გერმანია, თავის მხრივ, რუსეთის ავანტურას შორეულ აღმოსავლეთში ყოველნაირად ახალისებდა, - ამით რუსეთის ძალებს ევროპაში ამცირებდა, თანაც რუსეთ-ინგლისის კონფლიქტს აღრმავებდა. ინგლისი იაპონიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ცდილობდა შეეჩერებინა რუსეთის ექსპანსია ჩინეთში, ტიბეტსა და კორეაში. წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ძალთა ბალანსის შენარჩუნებას მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატებიც.

ა. კუროპატკინი 1903 წელს ასე აღწერდა ნიკოლოზ II-ის გეოპოლიტიკურ მიზნებს: ”ჩვენს ხელმწიფეს თავში გრანდიოზული გეგმები უტრიალებს: რუსეთისთვის მიეერთებინა მანჯურია, წასულიყო რუსეთისთვის კორეის შეერთებაზეც. ოცნებობდა თავის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცია ტიბეტი. სურდა სპარსეთის მიერთებაც, არა მარტო ბოსფორის, არამედ დარდანელის დაპყრობაც.. ის ფიქრობს, რომ ჩვენზე უკეთესად ესმის რუსეთის დიდებისა და სარგებლის საკითხები...“

1903 წლის ზაფხულში ნიკოლოზ II-მ შორეულ აღმოსავლეთში შექმნა სამეფისნაცვლო, რომელშიც შევიდა ამურისპირეთის საგენერალ-გუბერნატორო და ჩინეთის კვანტუნის ოლქი. მეფის მაცვლად დაინიშნა ადმირალი ევგენი ალექსეევი (1843-1917), რომელსაც მტკიცე ანტიიაპონური პოზიცია ჰქონდა და პირადი ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა კორეაში. მეფისნაცვლას ამ რეგიონში გადაეცა მინისტრთა საბჭოს ყველა უფლებამოსილება, მათ შორის დიპლომატიური. სამეფისნაცვლოს ცენტრად პორტ-არტური განისაზღვრა. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ რუსეთი მანჯურიიდან წასვლას არ აპირებდა.

რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. იაპონიის ელჩი კურინო 1904 წლის იანვარშიც იხვეწებოდა პასუხის გაცემას

ტოკიოს წინადადებაზე, მაგრამ ამაოდ. ნიკოლოზ II თვლიდა, რომ იაპონიასთან ომი რუსეთს არ უნდა დაეწყო, მაგრამ იაპონიის თავდასხმის შემთხვევაში დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. ამიტომ საჭიროდ არ მიაჩნდა დათმობებზე წასვლა.

1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომი უაღრესად წარუმატებელი აღმოჩნდა რუსეთისათვის. იაპონელებმა რამდენჯერმე დაამარცხეს რუსეთის სახმელეთო არმია, დაიპყრეს პორტ-არტური, მთლიანად გაანადგურეს რუსეთის ფლოტი. ომის შედეგად პორტ-არტური და მთლიანად ლიაოდუნის ნახევარკუნძული, რომელიც რუსეთს ჰქონდა იჯარით აღებული, იაპონიის ხელში გადავიდა, იაპონიის გავლენის ქვეშ მოექცა კორეაც, მათვე დაიკავეს კუნძულ სახალინის სამხრეთ ნაწილიც.

იაპონიასთან მარცხმა გამოაფხიზლა რუსეთის მმართველი წრეები, შეამცირა ნიკოლოზ II-ის საგარეო-პოლიტიკური ამბიციები და უფრო რეალურად აფასებდნენ რუსეთის შესაძლებლობებს. რუსეთი ამის შემდეგ ცდილობდა შიდა პრობლემების მოგვარებას, რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, რუსეთი ცდილობდა იაპონიასთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, პარალელურად დაუბრუნდა აქტიურ პოლიტიკას ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში.

რუსეთ-იაპონიის ომის შედეგების გავლენით შექმნილია იმ გეოპოლიტიკური კონცეფციების დიდი ნაწილი, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

2. დიმიტრი მილიუტინი: ბრიტანეთთან მეტოქეობიდან სტრატეგიულ მოთმინებამდე

დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინი (1816-1912) მრავალი ნაშრომის ავტორია, გეოპოლიტიკის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოა ნაშრომად მიიჩნევა "სამხედრო გეოგრაფიის და სამხედრო სტატისტიკის კრიტიკული გამოკვლევა" (1846), რომელშიც შეჯამებულია დისკუსია სამხედრო გე-

ოგრაფიის საგნის შესახებ. ამავე დროს მასში ჩამოყალიბებულია რუსული გეოპოლიტიკის იდეოლოგიური და თეორიული საფუძვლები. ის რასაც მილიუკოვი "სამხედრო სტატისტიკად" მიიჩნევდა, დღეს გეოსტრატეგია ეწოდება.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვან ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ 94 წლის გადამდგარი გენერლის მიერ დაწერილი სტატია "მოხუცებულის ფიქრები რუსეთში სამხედრო საქმის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ" (1909).[6]

ბიოგრაფიული ცნობები

დიმიტრი მილიუტინი წარმოშობით იმდროინდელი რუსეთის მაღალი წრის წარმომადგენელი იყო და კარგი განათლება მიიღო. 22 წლის შტაბს-კაპიტანი კავკასიაში წავიდა, მოქმედ არმიაში, რათა პრაქტიკაში ენახა ჯარების სამხედრო საქმიანობა. 1839-1844 წლებში ის კავკასიაში მსახურობდა და მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა. 6 წლის შემდეგ პეტერბურგში დაბრუნდა პოდპოლკოვნიკის წოდებით. 1845 წელს პროფესორად დაინიშნა სამხედრო აკადემიაში სამხედრო გეოგრაფიისა და სტატისტიკის კათედრაზე. მილიუტინს მონაწილეობა არ მიუღია ყირიმის ომში. 1856 წელს დაინიშნა კავკასიის არმიის შტაბის უფროსად. 1859 წელს მონაწილეობა მიიღო აულ ღუნიბის აღებასა და შამილის დატყვევებაში. 40 წლის ასაკში გენერალი გახდა, შემდეგ კი გენერალ-ფელდმარშალის წოდებაც მიიღო.

მილიუტინი 1860 წელს გახდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, 1861 წელს კი თავდაცვის მინისტრი. ამ თანამდებობაზე ის 20 წელზე მეტხანს იმყოფებოდა (1861-1881). 1881 წელს რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე III მიიღო მილიტინის თხოვნა

---

[6] Милютин Д. Старческие размышления о современном положении военного дела в России // Известия Императорской Николаевской Военной академии. 1912. №30. - http://regiment.ru/Lib/A/14.htm

გადადგომის თაობაზე, მილიუტინმა ასეთი თხოვნა იმიტომ დაწერა, რომ ვეღარ გრძნობდა მხარდა`ჭერას მის მიერ გატარებულ სამხედრო რეფორმებისადმი.

მილიუტინის თქმით, მის მიერ სამხედრო სფეროში გატარებულმა რეფორმებმა 1862-1876 წლებში თავისი შედეგი მოიტანა და მის ერთგვარ შემოწმებად იქცა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი. ეს ომი რუსეთისთვის წარმეტებული აღმოჩნდა და თავი დააღწია წაგებული ყირიმის ომის (1853-1856) პირობებს.

მილიუტინის სამხედრო რეფორმების შეფასება ცალსახად პოზიტიური არაა. აღინიშნება, რომ თვითმპყრობელურ სახელმწიფოს მან ასეთი ქვეყნისთვის არადამახასიათებელი „შეიარაღებული ხალხის“ ლიბერალურ სისტემაზე აგებული სამხედრო ორგანიზაცია შეუქმნა, დამყარებული საყოველთაო სამხედრო ვალდებულებასა და „ჯარისკაცი-მოქალაქის“ იდეაზე. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მილიუტინის მიერ განხორციელებულ რეფორმის უარყოფით შედეგად მიიჩნევდნენ იაპონიასთან ომში დამარცხებასაც და 1914-1917 წლებში პირველ მსოფლიო ომში რუსეთის არმიის წარუმატებლობასაც,[7]

მილიუტინის შენიშვნით, მისი გაკვალული გზა მომდევნო თავდაცვის მინისტრებს არ გაუგრძელებიათ. საქმეებს ჩამოშორებული მილიუტინი ყირიმში, თავის მამულში ცხოვრობდა, მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905) რუსეთის მარცხმა და რევოლუციამ რუსეთში (1905-1907), ის სერიოზულად დააფიქრა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობაზე, რუსეთისთვის შექმნილ ახალ საფრთხეებზე და თავისი მოსაზრებები ჩამოაყალიბა სტატიაში მოხუცებულის ფიქრები რუსეთში სამხედრო საქმის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ” (1909), რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ, - 1912 წელს გამოქვეყნდა.[8]

---

[7] И.Домнин. «Реформы Милютина сгубили армию...» - «Независимая Газета», 8.09.2006 - http://nvo.ng.ru/history/2006-09-08/1_milutin.html

[8] Милютин Д. Старческие размышления о современном положении военного дела в России // Известия Императорской Николаевской Военной академии. 1912. №30. - http://regiment.ru/Lib/A/14.htm; ამ ნაშრომის თაობაზე: А.Н. Цамутали. Д.А. Милиютин и его «Старческие размышления о современном положении военного

გეოსტრატეგიის ძირითადი პრინციპები

დ. მილიუტინის აზრით, სამხედრო გეოგრაფიისა და სამხედრო სტატისტიკის საგანია სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და განვითარების ზოგადი და კერძო კანონზომიერებები - პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერე, ტერიტორია, გეოგრაფიული მდებარეობა, ასევე ზოგადი ტოპოგრაფიული თვისებები - საზღვრების მოხაზულობა, მეზობლები.

მილიუტინი აღნიშნავდა: "ზოგი სახელმწიფო გადაჭიმულია დიდ მანძილზე, ანდა გაფანტულია ცალკეულ ნაწილებად, სხვები მომრგვალებულნი არიან და მთლიან მასას წარმოადგენენ, ერთი თავისი მდგომარეობით არის ცალსახად კონტინენტური, მეორე ცალსახად საზღვაო; ერთი იძულებულია თავდაცვისათვის ჰყავდეს გაცილებით უფრო დიდი ჯარი, ვიდრე მეორეს; ერთი მთავარ ყურადღებას სახმელეთო ჯარებს აქცევს, მეორე ფლოტს."[9]

დ. მილიუტინი განიხილავდა მოსახლეობის ზრდას, სახელმწიფოს მოწყობას გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული თვალსაზრისით. მისთვის გეოსტრატეგია პოლიტიკური მეცნიერებაა, რადგანაც პირველ რიგში სახელმწიფოს სწავლობს. ამავე დროს გეოსტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს სამხედრო ხელოვნების მოთხოვნებიც. ამიტომ მისთვის აუცილებელია სტრატეგიის ზოგადი თეორიის და სამხედრო ადმინისტრაციის გათვალისწინებაც.

გეოსტრატეგიის საკვანძო მიზანია მოცემულ მომენტში სამხედრო თვალსაზრისით სახელმწიფოს ძალებისა და საშუალებების გამოკვლევა. სამხედრო ძალებში მილიუტინი გულისხმობდა არა მხოლოდ შეიარაღებულ ძალებს, არამედ ყველა იმ საშუალებას, რასაც სახელმწიფო ფლობს თავისი საგარეო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ანდა იარაღის ძალით თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწე-

---

дела в России» - https://histrf.ru/uploads/media/default/0001/08/1ee1f7d4ed75b073776b52ca93b51d56bef0e82a.pdf

[9] Д.А.Милютин. Критические исследования значения военной географии и военной статистики - Русский геополитический сборник. М., 1997. № 2, с.43

ვად. მაშასადამე, გეოსტრატეგია მოიცავს სახელმწიფოს შესწავლას სამხედრო თვალსაზრისით, იმის გასააზრებლად, თუ რამდენად შეუძლია თავდაცვითი ან შეტევითი ომის წარმოება.

გეოსტრატეგიული ანალიზის კონცეფცია მოიცავს სახელმწიფოს სამი მთავარი ელემენტის შესწავლას: 1) ქვეყნის (ანუ ტერიტორიის); 2) მოსახლეობის; 3) სახელმწიფო მოწყობის.

გეოსტრატეგიული ანალიზში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დედამიწის ზედაპირის თვისებებს, რაც განსაზღვრავს ომის წარმატებით წარმოების საშუალებებს; ისევე როგორც მოსახლეობის, მისი მატერიალური და მორალური მდგომარეობის, ფინანსების შესწავლას.

გეოსტრატეგიული ანალიზის მიზანი განაპირობებს კვლევის მეთოდებსაც. რადგანაც სახელმწიფოს სამხედრო ძალა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში, ამიტომ გეოსტრატეგიაში ყოველი სახელმწიფო ცალკე შეისწავლება, მხოლოდ ცალკეული შედარებები ხდება სხვა სახელმწიფოებთან. შემდეგ კი გამოიყენება შედარებითი ანალიზი, რისთვისაც იღებენ რამდენიმე სახელმწიფოს და მათ ერთმანეთთან ადარებენ ყველა გეოსტრატეგიული პარამეტრით. მაგრამ სრული შედარებითი სტატისტიკა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საფუძვლიანადაა დამუშავებული თითოეული სახელმწიფოს გეოსტრატეგიული მონაცემები.

მილიუტინი მიუთითებდა გეოსტრატეგიის უდიდეს პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მშვიდობიან დროსაც. მისი აზრით, გეოსტრატეგიული პრიორიტეტები ამოსავალი უნდა იყოს მთავრობის მიერ მთელი რიგი ადმინისტრაციული, ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად. საქმე ეხება არა მხოლოდ სამხედრო ბაზებისა და ნავსადგურების განლაგებას. ქვეყნის შიგნით კომუნიკაციებისა და სამეურნეო კავშირების მთელი სისტემა უნდა ექვემდებარებოდეს არა მხოლოდ დღევანდელობის ეკონომიკურ ამოცანებს, არამედ პერსპექტიულ გეოპოლიტიკურ მიზნებსაც. გეოსტრატეგიული დაგეგმვიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს რკინიგზების, მსხვილი სახელმწიფო საწარმოების მშენებლობა. ეკონომიკას არ უნდა ქონდეს პირველობა გეოსტრატეგიაზე.

ყირიმის ომის (1853-1856) შემდეგ: გეოპოლიტიკური გათვლები ბრიტანეთის გასანეიტრალებლად

რუსეთის გეოპოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრისას მილიუტინს მთავარ მოწინააღმდეგედ ბრიტანეთის იმპერია ესახებოდა, მაგრამ მის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების დაწყება ნაადრევად მიაჩნდა. რუსეთს ჯერ კიდევ არ დაეძლია ყირიმის ომის (1853-1856) შედეგები. ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში წონასწორობის დასაცავად, მილიუტინის აზრით, აუცილებელი იყო რუსეთისა და გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი.

XIX საუკუნის 1860-1870-იან წლებში რუსეთი შუა აზიაში ესწრაფვოდა თურქესტანის მხარის დაპყრობას. ეს იყო იმ პოზიციების დაკავებაც, საიდანაც რუსეთს შეეძლო დამუქრებოდა ინდოეთს - ბრიტანეთის იმპერიის ძლიერების საფუძველს და იმავდროულად აქილევსის ქუსლს.

მილიუტინის აზრით, თურქეთი უნდა განედევნათ ევროპიდან და შექმნილიყო ბალკანეთის კონფედერაცია ევროპის საერთო მფარველობის ქვეშ, ხოლო სრუტეებს ნეიტრალური სტატუსი უნდა მინიჭებოდა. სპარსეთს და ჩინეთს უნდა მიეღოთ რუსეთის იმპერიის მხრიდან გარანტიები, რაც დაიცავდათ ინგლისის დამპყრობლური პოლიტიკისაგან. ამ ქვეყნებს, ისევე როგორც აშშ-ს, მილიუტინი რუსეთის ბუნებრივ მოკავშირეებად მიიჩნევდა.[10]

დ.მილიუტინის გეოპოლიტიკური გათვლების შედეგად, რუსეთმა სარგებელი უკვე 1877-1878 წლების ომის დროს მიიღო. რუსეთი იბრძოდა ბალკანეთში, მაგრამ ბრიტანეთში უფრო აფიქრებდათ რუსების კაზაკთა პოლკები მერვსა და ტაშკენტში, რომლებსაც საფრთხედ მიიჩნევდნენ ინდოეთისთვის.[11]

რუსეთ-იაპონიის ომის (1904-1905) შემდეგ: ახალი გეოპოლიტიკური რეალობა

[10] Н.А.Нартов, В.Н.Нартов. Геополитика.М.:ЮНИТИ-ДАНА, 2007, с.111
[11] Н.А.Нартов, В.Н.Нартов. Геополитика.М.:ЮНИТИ-ДАНА, 2007, с.111

მილიუტინის თქმით, რუსეთი მოუმზადებელი შეხვდა იაპონიასთან ომს. „ვერავინ შეამჩნია, რომ ჩვენი პატარა მეზობელი თავიდან ფეხებამდე შეიარაღდა“, იაპონიას ქედმაღლურად უყურებდნენ და დარწმუნებული იყვნენ, რომ „ასეთ პატარა შორეულ აზიურ ქვეყანას არც კი შეეძლო ეფიქრა ომზე კოლოსალურ ზესახელმწიფოსთან“. იაპონიისა და მისი შეიარაღებული ძალების შეუფასებლობამ განაპირობა რუსეთის მოუმზადებლობა შორეულ აღმოსავლეთში ომისათვის.

დიმიტრი მილიუტინის თქმით, რუსეთ-იაპონიის ომმა რუსეთი ახალი გეოპოლიტიკური რეალობის წინაშე დააყენა. დიდი ხნის განმავლობაში რუსეთს შეეძლო არ ეფიქრა თავის შორეული აღმოსავლეთის სამფლობელოების დაცვაზე, რადგანაც მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა. რუსეთის იმპერიისთვის საფრთხე მხოლოდ დასავლეთის საზღვრებთან არსებობდა.

რუსეთ-იაპონიის ომმა კი ახალი რეალობა წარმოაჩინა. იაპონია ძალზედ სწრაფად გადაიქცა პირველხარისხოვან სახელმწიფოდ, რომელმაც რუსეთი დაამარცხა ზღვაზედ და ხმელეთზეც. მილიუტინის თქმით, ტრანსციმბირული მაგისტრალი რომ არა, რუსეთის მარცხი კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა.

მილიუტინის განცხადებით, 1904-1905 წლების ომის შემდეგ განვლილ ოთხ წელიწადში რუსეთმა ფაქტობრივად არაფერი გააკეთა თავის პოზიციების განსამტკიცებლად შორეულ აღმოსავლეთში და ახალი ომი რუსეთისთვის კიდევ უფრო მძიმე შედეგების მომტანი იქნებოდა. საქმეს ვეღარ უშველიდა ტრანსციმბირული რკინიგზის არსებობაც. რუსეთის მდგომარეობა კიდევ უფრო კატასტროფული გახდებოდა, თუკი შორეულ აღმოსავლეთში დაწყებული ომის პარალელურად რუსეთის მიმართ დასავლეთში რომელიმე ევროპული სახელმწიფოს მტრული დამოკიდებულება გამოიკვეთებოდა.[12]

---

[12] Милютин Д. Старческие размышления о современном положении военного дела в России // Известия Императорской Николаевской Военной академии. 1912. №30. - http://regiment.ru/Lib/A/14.htm

ჩინეთი: შესაძლო დამატებითი საფრთხე შორეულ აღმოსავლეთში

დიმიტრი მილიუტინი აღნიშნავდა, რომ შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიასთან ერთად, რუსეთს შეიძლება საფრთხე ჩინეთიდანაც დამუქრებოდა, რაც კიდევ უფრო გაართულებდა რუსეთის მიერ პოზიციების შენარჩუნებას ამ რეგიონში.

მილიუტინი არ გამორიცხავდა თვალსაწიერ მომავალში იაპონიის მსგავსად, ჩინეთის მოდერნიზებასაც, რაშიც ამ უკანასკნელს იაპონიაც შეიძლება დახმარებოდა. მტრულად განწყობილი ჩინეთი კი, იაპონიისგან განსხვავებით, უდიდესი ტერიტორიით და რუსეთზე აღმატებული მოსახლეობით, ურთულეს მდგომარეობაში ჩააყენებდა რუსეთს.

რუსეთის საზღვარი ჩინეთთან 6 ათას ვერსზე იყო გადაჭიმული და, მილიუტინის თქმით, ამ თვალუწვდენელ საზღვარზე რაც არ უნდა დიდი სამხედრო ნაწილებისთვის მოეყარათ თავი, მაინც ვერ იგრძნობდნენ თავს უსაფრთხოდ შესაძლო თავდასხმისაგან. ასეთ პირობებში მილიუტინი იმედს რუსეთის დიპლომატიაზე ამყარებდა.

რა უნდა გააკეთოს რუსეთმა ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში

დიმიტრი მილიუტინის შეფასებით, რუსეთს საფრთხეები გაეზარდა არა მხოლოდ შორეულ აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც. ევროპის დიდი სახელმწიფოები სწრაფად იარაღდებოდნენ, ამასთან თვალშისაცემი იყო პროგრესი სამხედრო-ტექნიკურ სფეროში. რუსეთი მათთან შედარებით ჩამორჩენილი და კვლავ მდევრის როლში იყო. მილიუტინის თქმით, ”რუსეთი ორი საუკუნის განმავლობაში უკან მიჰყვება დასავლეთ ევროპის მოწინავე სახელ-

მწიფოებს და ძნელი წარმოსადგენია, რომ მომავალშიც ოდესმე შეძლოს მათი გადასწრება“.[13]

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-იაპონიის ომის (1904-1905) შემდეგ რუსეთს დაუდგა დაახლოებით ისეთივე პერიოდი, რაც ყირიმის ომის (1853-1856) შემდეგ ჰქონდა. მილიუტინის შეფასებით, რუსეთის პოზიციები ძალზედ სუსტი იყო შორეულ აღმოსავლეთში, ევროპის სახელმწიფოებიც სწრაფად ზრდიდნენ თავიანთ სამხედრო შესაძლებლობებს და რუსეთს მათთან გაჯიბრება გაუძნელდებოდა.

ასეთ პირობებში მილიუტინს საჭიროდ მიაჩნდა რუსეთის დიპლომატიის აქტიური მუშაობა შორეულ აღმოსავლეთში და კარგი ურთიერთობების შენარჩუნება ჩინეთთან და იაპონიასთან. ამისათვის მისაღებად თვლიდა ამ ორი ქვეყნისთვის სერიოზულ დათმობებზე და შეღავათებზე წასვლას ვაჭრობისა და მრეწველობის სფეროში, თუნდაც რომ ეს საზიანო ყოფილიყო რუსეთის ინტერესებისათვის.

მილიუტინის აზრით, იგივე პოლიტიკა უნდა გაეტარებინათ დასავლეთშიც და არ ჩარეულიყვნენ ევროპის ქვეყნებს შორის კონფ-ლიქტებში. ასევე არ უნდა დაევიწყებინათ გამონათქვამი: „დაყავი და იბატონე“, ანუ განხეთქილება შეეტანათ სავარაუდო მეტოქეებს შორის.

შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის პოზიციების დასაცავად გასატარებელი ღონისძიებები

მილიუტინის განცხადებით, თუ რუსეთი სასწრაფოდ არ მი-იღებდა სამხედრო და სხვა სახის ზომებს შორეულ აღმოსავლეთში, ახალი ომის შემთხვევაში ის ვეღარ შეძლებდა წყნარი ოკეანის სანაპიროს შენარჩუნებას.

მილიუტინის შეფასებით, შორეულ აღმოსავლეთში ახალი ომის შემთხვევაში, საომარი მოქმედებების მთავარი არეალი კვლავ

[13] Милютин Д. Старческие размышления о современном положении военного дела в России // Известия Императорской Николаевской Военной академии. 1912. №30. - http://regiment.ru/Lib/A/14.htm

მანჯურია იქნებოდა, - როგორც იაპონიასთან ომის, ისე ჩინეთთან ომის შემთხვევაშიც. რაც შეეხება მონღოლეთს, მისი ტერიტორია მხოლოდ ეპიზოდური საომარი მოქმედებებისთვის თუ იქნებოდა გამოყენებული.

შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ხელისუფლების მიერ გასატარებელ ზომებში მილიუტინი ასახელებდა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს. პირველ რიგში მილიუტინს საჭიროდ მიაჩნდა შორეულ აღმოსავლეთში რუსული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, მათთვის ყველანაირი შეღავათების მინიჭებით. იმავდროულად წინ უნდა აღდგომოდნენ ამ ადგილებში უცხოელთა, განსაკუთრებით იაპონელების დასახლებას. ხელი უნდა შეწყობოდა რუსული ვაჭრობის, მრეწველობის, ხელოსნობის, სოფლის მეურნეობის განვითარებას. ასევე უნდა ეზრუნათ მოსახლეობის განათლების ზრდაზეც. ჩინეთთან საზღვრის გასწვრივ უნდა გაეყვანათ პარალელური გზები, ასევე შეესწავლათ ამური, უსური და სხვა მდინარეები იქ გემებით მიმოსვლის დასაწყებად.

დასახელებულ ზომებთან ერთად, მილიუტინის აზრით, პირველ რიგში სამხედრო ღონისძიებები იყო გასატარებელი და მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო შორეულ აღმოსავლეთში განლაგებული სამხედრო ძალები.

მილიუტინის გეოპოლიტიკური ანდერძი

როგორც ვხედავთ, რუსეთის წარმატებული სამხედრო რეფორმის ავტორს, დ. მილიუტინს სიცოცხლის ბოლო წლებში სერიოზულად აფიქრებდა რუსეთ-იაპონიის ომის (1904-1905) შემდეგ შექმნილი ვითარება. ის რუსეთის ხელისუფლებას სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა და მიაჩნდა, რომ რუსეთს თავი უნდა აერიდებინა საერთაშორისო კონფლიქტებში და ომებში მონაწილეობისათვის, მშვიდობიანუ პერიოდი კი გამოეყენა შეიარაღებული ძალების მოდერნიზებისა და ეკონომიკის განსავითარებლად.

ამ ამოცანის შესრულება რუსეთმა მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო, - თავიდან აიცილა შორეულ აღმოსავლეთში ახალი ომი, მოაწესრიგა ურთიერთობა ინგლისთან, ცდილობდა ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებას, მაგრამ 1914 წელს მაინც მოუხდა დიდ ომში ჩართვა, რომლისთვისაც მოუმზადებელი აღმოჩნდა და რომლის სიმძიმესაც რომანოვების 300-წლიანმა იმპერიამ ვეღარ გაუძლო.

3. ანდრეი სნესარევი: რუსეთის იმპერიის გაფართოების გეგმები

დ.მილიუტინზე უფრო მეტად გეოპოლიტიკასა და "პოლიტიკურ გეოგრაფიას" მიუახლოვდა მეორე რუსი სამხედრო სპეციალისტი ანდრეი ევგენის ძე სნესარევი (1865-1937). დაამთავრა მოსკოვის

უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი, მოსკოვის კონსერვატორია და გენერალური შტაბის აკადემია, იცოდა 14 ენა.

ანდრეი სნესარევის სახელს უკავშირდება "სამხედრო გეოგრაფიის" შესახებ ცოდნის სისტემატიზირება. ის კარგად იცნობდა აღმოსავლეთს, შესწავლილი ქონდა ავღანეთი, პამირი, ბუხარა, ჩრდილოეთ ინდოეთი და კაშგარია. სნესარევის ძირითად ნაშრომებს შორის გამოიყოფა „რუსეთის სამხედრო გეოგრაფია“ (1910, მეორე გამოცემა), „ავღანეთი“, „ინდოეთი“ და სხვა.

ბრიტანეთის იმპერია - რუსეთის მთავარი მოწინააღმდეგე

ანდრეი სნესარევს კარგად ესმოდა ბრიტანეთსა და რუსეთის იმპერიას შორის მიმდინარე "დიდი თამაშის" მნიშვნელობა აზიასა და კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად. სნესარევს ძალიან მოსწონდა

რუსეთის ჯარების ავღანეთის გავლით ინდოეთში შეჭრის გეგმა ბრიტანეთის კოლონიური იმპერიისთვის გამანადგურებელი დარტყმის მისაყენებლად. ამის ყველაზე მეტად ეშინოდათ ინგლისურ სტრატეგიასა და გეოპოლიტიკაში.

რუსეთის მეფის გადაწყვეტილება მხარი დაეჭირა ანტანტისათვის და შეეწყვიტა "დიდი თამაში" სნესარევისთვის პირადი ტრაგედია აღმოჩნდა. თავისი კრიტიკული პოზიცია მან ჩამოაყალიბა 1908 წელს გამოცემულ წიგნში "ინგლის-რუსეთის 1907 წლის შეთანხმება". ინგლისის საწინააღმდეგო პოზიციის გამო სნესარევი შერისხული აღმოჩნდა მეფის არმიაში. პირველი მსოფლიო ომი დაამთავრა გენერალ-ლეიტენანტის ჩინით.

სნესარევის „წითელი“ არჩევანი

სნესარევის მიერ პოლიტიკური ბანაკის არჩევა სამოქალაქო ომის დროს განისაზღვრებოდა მისი "გეოპოლიტიკური" პრინციპებით. მან აირჩია "წითლები", რადგანაც "თეთრები" ინარჩუნებდნენ ანტანტის ერთგულებას, ინგლისს კი სნესარევი მიიჩნევდა "რუსეთის აბსოლუტურ მტრად".

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ის გადავიდა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, სამოქალაქო ომის დროს 1918 წლის მაის-ივლისში ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქს, იყო დასავლეთის არმიის მთავარსარდალი. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ომის დროს უკრაინაში, სადაც სნესარევი ამყარებდა საბჭოთა ხელისუფლებას, ფრონტის მეორე მხარეს იმყოფებოდა ჰელფორდ მაკინდერი, რომელსაც სნესარევის საწინააღმდეგო პოზიცია ქონდა.

ანდრეი სნესარევი 1919 წელს გაიგზავნა თურქესტანში, რათა, შესაძლოა, სათავეში ჩასდგომოდა ინდოეთზე ლაშქრობას ბრიტანეთის მსოფლიო ბატონობის შესარყევად.

სნესარევი 1919-1921 წლებში იყო აღდგენილი გენერალური - შტაბის აკადემიის ხელმძღვანელი. 1921 წელს მან დაუთმო ეს თანამდებობა ტუხაჩევსკის და ხელმძღვანელობდა კათედრას ახლად

ორგანიზებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. 1929 წელს დააპატიმრეს ტუხაჩევსკის მიერ ორგანიზებული „მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში ბურჟუაზიულ სამხედრო სპეციალისტებთან ბრძოლის“ კამპანიის ფარგლებში და დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ განაჩენი ბანაკში გადასახლებით შეუცვალეს. შემდეგ დააპატიმრეს მეფის გენშტაბის გეოპოლიტიკური სკოლის სხვა წარმომადგენლები. გეოპოლიტიკა აიკრძალა როგორც „გერმანული ფაშიზმის მოსამსახურე“ დისციპლინა.

სნესარევმა რვა წელი გაატარა პატიმრობაში და გაანთავისუფლეს ტუხაჩევსკის სიკვდილით დასჯის შემდეგ. გენერლის ჯანმრთელობა შერყეული იყო წამების შედეგად და ფსიქიურად ნორმალური აღარ იყო. სნესარევი მალევე გარდაიცვალა ოჯახურ წრეში.

რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდა

თავის ნაშრომებში ანდრეი სნესარევი დაწვრილებით განიხილავდა რუსეთის საზღვრების სტრუქტურას და შესაძლო ტერიტორიული ექსპანსიის ძირითად მიმართულებებს. თავის უმთავრეს ნაშრომში "სამხედრო გეოგრაფია" სნესარევი განიხილავს რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიულ ზრდას ოთხი საუკუნის განმავლობაში. რუსეთის სახელმწიფო ფართოვდებოდა აღმოსავლეთისკენ, დასავლეთისკენ და სამხრეთისკენ.

აღმოსავლეთისკენ რუსეთის სახელმწიფოს ზრდა დაიწყო XVII საუკუნიდან და სწრაფად გავიდნენ წყნარი ოკეანის სანაპიროზე. მაქსიმალური მიღწევა იყო 1895-1896 წლებში ჩინეთთან გაფორმებული ხელშეკრულებები მანჯურიაში რკინიგზის მშენებლობისა და პორტ-არტურის იჯარით რუსეთის ხელში გადასვლის თაობაზე. ეს პროცესი შეაფერხა იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხებამ.

რუსეთის სახელმწიფოს დასავლეთისკენ ზრდა „კულტურულ მეზობლებთან“ შვედებთან და პოლონელებთან ომში მიმდინარეობდა და საბოლოოდ იმპერიის დასავლეთი საზღვარი 1815 წელს ვენის კონგრესით განისაზღვრა.

სამხრეთით რუსეთის სახელმწიფოს ზრდა ოსმალეთის იმპერიასთან ბრძოლით მიმდინარეობდა. რუსეთის ხელში გადავიდა შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო, კავკასიაში კი რუსეთს თურქეთის გარდა ირანთანაც უხდებოდა ომი.

სნესარევი აღნიშნავდა, რომ 400 წლის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფო ტერიტორიულად გაათმაგდა.[14] სნესარევის გამოთვლით ივანე III-ის დროს რუსეთის ფართობი 37 ათასი კვადრატული მილი იყო. შემდეგ კი მეფეების და იმპერატორების მიერ „შეძენილ“ ტერიტორიების ფართობს ჩამოთვლის:

მეფე/ იმპერატორი	შეძენილი ტერიტორია
ვასილ III	10 ათასი კვ. მილი
ივანე IV	77 ათასი კვ. მილი
თევდორე I	32 ათასი კვ. მილი
მიხეილი	93 ათასი კვ. მილი
ალექსი	7 ათასი კვ. მილი
თევდორე II	8 ათასი კვ. მილი
პეტრე I	10 ათასი კვ. მილი
ანა	16 ათასი კვ. მილი
ელიზავეტა	4 ათასი კვ. მილი
ეკატერინე II	11 ათასი კვ. მილი
პავლე I	25 ათასი კვ. მილი
ალექსანდრე I	9 ათასი კვ. მილი
ნიკოლოზ I	40 ათასი კვ. მილი
ალექსანდრე II	13 ათასი კვ. მილი
ალექსანდრე III	4 ათასი კვ. მილი
სულ	359 ათასი კვ. მილი

175 წლის განმავლობაში - 1722-1897 წლებში რუსეთის სახელმწიფოს მოსახლეობა 9-ჯერ გაიზარდა. ბუნებრივ მატებასთან ერთად, მოსახლეობის ზრდა ტერიტორიულმა დაპყრობებმა გამოიწვია. 1897

[14] А.Снесарев. Военная география России (Часть общая). С.-Петербург, 1910, стр.29

წლის აღწერით რუსეთის იმპერიის მოსახლეობა 129 მილიონს შეადგენდა. 1910 წლისთვის კი რუსეთის იმპერიის მოსახლეობა, სავარაუდოდ, 160 მილიონს აღწევდა. ამ დროისათვის მოსახლეობის რაოდენობით მხოლოდ ბრიტანეთის იმპერიას (1903 წელი - 395 მლნ ადამიანი) და ჩინეთს (დაახლოებით 400 მლნ) ჩამორჩებოდა.[15]

რუსეთ-ინგლისის 1907 წლის შეთანხმება

რუსეთ-ინგლისის 1907 წლის შეთანხმებით მოწესრიგდა ამ ორ ქვეყანას შორის არსებული დაპირისპირება შუა აღმოსავლეთში და შესაძლებელი გახადა რუსეთის ჩართვა საფრანგეთ-ინგლისის კავშირში. თუმცა ანდრეი სნესარევისთვის ინგლისთან მიღწეული შეთანხმება მიუღებელი იყო. ამ თემას მან სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა.[16]

სნესარევი რუსეთისთვის წამგებიანად მიიჩნევდა ამ შეთანხ-მებას. რუსეთის იმპერია უარს ამბობდა ტიბეტში და ავღანეთში შეღ-წევაზე და ამით უარს ამბობდა ამ მიმართულებით გაფართოებაზე. ამით ინგლისი უზრუნველყოფდა თავისი მთავარი კოლონიის - ინ-დოეთის მისადგომების უსაფრთხოებას. რაც შეეხება სპარსეთს, ის შეთანხმების ძალით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იყო მიჩნეული, მაგრამ გამოიყო გავლენის სფეროები - ჩრდილოეთ ირანზე - რუსეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანზე ინგლისის. სნესარევის აზრით, რუსეთი აქაც წაგებული დარჩა - ჩრდილოეთ ირანზე გავლენას ისედაც ფლობდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანზე ინგლისის გავლენის აღიარებით კი ფაქტობრივად დაკარგა ინდოეთის ოკეანეზე

[15] А.Снесарев. Военная география России (Часть общая). С.-Петербург, 1910, стр.65

[16] А. Снесарев. Англо-русское соглашение 1907 года – Журнал «Общество ревнителей военных знаний», СПб, 1908

გასვლის პერსპექტივა. ამით რუსეთმა დიდი ხნით უარი თქვა თავის ერთი დიდი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტაზე.[17]

4. დიმიტრი მენდელეევი: „სანუკვარი აზრები“

თანამედროვე რუსულ გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში, რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ისტორიის გადმოცემისას, იხსენიებენ ხოლმე ცნობილ რუს ქიმიკოსს დიმიტრი მენდელეევს (1834-1907), რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერა გეოპოლიტიკური პრობლემების ამსახველი ნაშრომები. 1904 წლიდან დაწყებული გამოდის "სანუკვარი აზრები", რომელიც თავისებურ გეოპოლიტიკურ ანდერძს წარმოადგენდა შთამომავლობისთვის და განხილულია რუსეთის ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საკითხები. ამ ნაშრომთან ახლოს დგას მენდელეევის მეორე ნაშრომი - "რუსეთის შემეცნებისთვის", რომელშიც გაანალიზებული იყო რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის შედეგები და ავტორის სიცოცხლეში 4-ჯერ გამოვიდა (1905 წლიდან).[18]

მენდელეევს მიიჩნევენ გეოეკონომიკური მიდგომის წარმომადგენლად, რომელმაც განსაზღვრა რუსეთისა და სხვა ქვეყნების ადგილი კოორდინატების მაკრომასშტაბურ სისტემაში.[19] დ.მენდელეევის გეოპოლიტიკური შეხედულებები საყურადღებოა იმიტომ, რომ ეს

---

[17] А. Снесарев. Англо-русское соглашение 1907 года – Журнал «Общество ревнителей военных знаний», СПб, 1908, стр.39

[18] *Яна Гердт* . Д. И. Менделеев о влиянии природных условий на историю, развитие и политику государства- http://www.lib.csu.ru/vch/101/47.pdf

[19] http://www.dissercat.com/content/geopoliticheskaya-mysl-v-rossii-genezis-i-osnovnye-etapy-razvitiya-konets-xuiii-nachalo-khkh

განყენებული მსჯელობები კი არ არის, არამედ დასკვნები კეთდება რუსეთის გეოპოლიტიკური სტატუსის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების გათვალისწინებით.[20]

ომებისა და ექსპანსიის მიზეზები

მენდელეევი განიხილავს ომებისა და ექსპანსიის მიზეზებს. რატცელისგან განსხვავებით, რომელიც ექსპანსიის პრობლემებს აბსტრაქტულად განიხილავდა, მენდელეევი ცდილობდა ზუსტად გაეთვალა ის პირობები, როდესაც ექსპანსია იწყება.

მენდელეევის თქმით, როდესაც ევროპის ზომიერ კლიმატის პირობებში დაახლოებით 3-4 დესეტინა მიწა მოდის საშუალოდ მცხოვრებზე, მაშინ უკვე ვიწროდ გრძნობენ თავს და დგება გადასახლების საჭიროება... ომების ფარული მიზანი მიწის დაკავებაა... ომებს უფრო ხშირად იწყებენ მესაქონლე ტომები, მომთაბარე ხალხები, რადგანაც მათ მიწის უფრო დიდი ფართობი სჭირდებათ თავიანთი გამრავლებული ჯოგების გამოსაკვებად.[21]

ასეთი ომების თავიდან აცილების გზად ესახებოდა მრეწველობის დაჩქარებული განვითარება, რაც მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემს მიიღოს უფრო მაღალი შემოსავალი.

მენდელეევი აღნიშნავს, რომ თავისი ისტორიის მანძილზე მიუხედავად რუსეთის მიერ წარმოებული ომების დიდი რაოდენობისა, მათი უმრავლესობა თავდაცვით ხასიათს ატარებდა. მენდელეევის აზრით, რუსეთის ტერიტორიული გაფართოებაც კი მშვიდობიანი გზით ხდებოდა და "მისი უდიდესი მასშტაბები განპირობებულია გარემოებათა დამთხვევის წყალობით... გვიხდებოდა ყოველი მხრიდან თავდაცვა და თავდაცვის დროს არცთუ იშვიათად გვიხდებოდა ადგილების დაკავება, საიდანაც ჩვენს შემვიწროებლებს გავნდევნიდით ხოლმე".

---

[20] И. Ф. Кефели ФИЛОСОФИЯ ГЕОПОЛИТИКИ В КОНТЕКСТЕ СОВРЕМЕННОГО ТЕОРЕТИЧЕСКОГО ЗНАНИЯ - http://www.politex.info/content/view/186/30/

[21] Менделеев Д.И. Заветные мысли. М.: Мысль, 1995, с.14

მენდელეევი თვლიდა, რომ რუს ხალხს სრულიადაც არ ახასიათებს რაიმე დაპყრობებისადმი მისწრაფება. რუსეთს უხდებოდა მომთაბარეებთან ბრძოლა, რომლებიც მასზე თავდასხმებს აწყობდნენ. მაგრამ მსგავსი შეტაკებები წარსულში დარჩა. მენდელეევის აზრით, რუსეთი საბოლოოდ ჩამოყალიბდა თავის საზღვრებში. სხვისი მიწების დაპყრობა რუსეთისთვის ნიშნავს დაკარგოს თავისი მკაფიოობა და დასრულებულობა, ამავე დროს მისი ტერიტორია იმდენად დიდია, რომ წარმოშობს უამრავ შიდა პრობლემებს, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება.[22]

როგორ უნდა შეინარჩუნოს რუსეთმა მოპოვებული სივრცე

დიმიტრი მენდელეევი ომების მთავარ მიზეზად მცირემიწიანობას და მიწების მოპოვების სურვილს მიიჩნევდა. მისი თქმით, ხმელეთის ფართი, ტუნდრისა და უდაბნოების ჩათვლით 135 მლნ კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, აქედან რუსეთის იმპერიის ხელში იყო 22 მილიონი კვადრატული კილომეტრი, მისი მოსახლეობა კი 140 მლნ ადამიანს შეადგენდა. გამოდიოდა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის რუსეთის იმპერიის ერთ მცხოვრებზე მოდიოდა 15,7 ჰექტარი, მაშინ როდესაც დანარჩენ მსოფლიოში (მსოფლიოს მაშინდელი მოსახლეობა იყო 1620 მილიონი ადამიანი, რუსეთის იმპერიის მოსახლეობის ჩათვლით), რუსეთის გამოკლებით, მხოლოდ 7,7 ჰექტარი მიწა, ანუ ორჯერ ნაკლები. "რუსეთს ძალზედ გაუმართლა, რადგანაც რუსეთში ორჯერ უფრო თავისუფლებაა, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში".[23]

მენდელეევის თქმით, კიდევ უფრო დიდია მიწის ნაკლებობა რუსეთის სახელმწიფოს მეზობელ ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიაში ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 1 ჰექტარი მიწა მოდიოდა, იაპ-

---

[22] *Яна Гердт* . Д. И. Менделеев о влиянии природных условий на историю, развитие и политику государства- http://www.lib.csu.ru/vch/101/47.pdf

[23] Менделеев Д.И. Заветные мысли. -

ონიაში კი კიდევ უფრო ნაკლები. რუსეთში ოთხჯერ უფრო თავისუფლებაა ვიდრე მის მეზობელ ქვეყნებში ერთად აღებულში.

მენდელეევი აღნიშნავდა, რომ რუსეთზე ზეწოლა ტერიტორიის წართმევის მიზნით ჯერჯერობით მცირეა, რადგანაც არსებობს სამხრეთ ამერიკა, ავსტრალია და რაც მთავარია, აფრიკა. სწორედ აქეთკენ არის მიმართული ევროპული ქვეყნების დემოგრაფიული და აფრიკის შემთხვევაში კოლონიური ექსპანსია.

მენდელეევის პროგნოზით, ასი თუ ორასი წლის შემდეგ დედამიწაზე მოსახლეობა ისე გაიზრდება და ისეთი სიმჭიდროვის გახდება, როგორიც მოცემულ ეტაპზე გერმანიაში იყო. შესაბამისად, რუსეთზე ზეწოლაც გაიზრდება. ამიტომ რუსეთი ყოველთვის მზად უნდა იყოს თავისი ტერიტორიების დასაცავად და, რაც მთავარია, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ სწრაფად გაზარდოს თავისი მოსახლეობა. მენდელეევი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულებში რუსეთის მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოს მოსახლეობა. ის იმედოვნებდა, რომ რუსეთის დემოგრაფიული ზრდა შემდგომშიც ასევე გაგრძელდებოდა.

რუსეთის სამი ცენტრი

დ.მენდელეევი ითვალისწინებდა რუსეთის განსაკუთრებულ მდებარეობას "ევროპის ურუსა და აზიის გრდემლს შორის", აღიარებდა მის მესიანისტურ როლს და რუსეთის იმპერიის 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით ნაშრომში "რუსეთის შემეცნებისათვის" გამოყო ქვეყნის სამი ცენტრი: პოლიტიკური ცენტრი, ზედაპირის (გეოგრაფიული) ცენტრი და მოსახლეობის ცენტრი. **პოლიტიკური ცენტრი** უკავშირდება დედაქალაქის ადგილმდებარეობას. ორი სხვა ცენტრი არ ემთხვევა ერთმანეთს იმის გამო, რომ მოსახლეობა უთანაბროდაა განაწილებული. ეს ორი ცენტრი არცერთ ქვეყანაში არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ რუსეთში ეს სხვაობა განსაკუთ-

რებით თვალშისაცემია - რუსეთის აღმოსავლეთი ნაწილი გაცილებით სუსტადაა დასახლებული, ვიდრე დასავლეთის.

მათემატიკური გათვლების საფუძველზე მენდელეევმა გამოთვალა **ზედაპირის ცენტრი** - ენეისეის გუბერნიაში ობსა და ენისეის შორის ქალაქ ტურუხანსკის რაიონში. ეს ცენტრი, მენდელეევის აზრით, კიდევ დიდხანს დარჩებოდა ცარიელი, მხოლოდ ჩრდილოეთის რაიონებში მინერალური სიმდიდრეების ათვისებასთან ერთად შეიცვლებოდა ამგვარი ვითარება. თავის მხრივ **მოსახლეობის ცენტრი** ტამბოვის გუბერნიაში იყო ქალაქებს - კოზლოვსა და მორშანსკს შორის.

მენდელეევი თვლიდა, რომ ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ხალხთმოსახლეობის ცენტრი მიუახლოვდეს ზედაპირის ცენტრს, ამისათვის ამ ცენტრმა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ უნდა გადაინაცვლოს. მენდელეევი ამის მიღწევას ქვეყნის სამრეწველო განვითარების შედეგად ვარაუდობდა.

რუსეთის მთლიანობა

მენდელეევის ერთ-ერთ უმთავრეს გეოპოლიტიკურ დამსახურებად მიიჩნევა ის, რომ მან პირველმა დახატა რუსეთის ისეთი სურათი, რომელშიც ის ერთიან მთლიანობადაა წარმოდგენილი, არ იყოფა ევროპულ და აღმოსავლეთ ნაწილებად. მენდელეევი თვლიდა, რომ უნდა გამქრალიყო რუსეთის ხელოვნური დაყოფა ევროპულ და აზიურ ნაწილებად. ეს მით უმეტეს უნდა მოხდეს, რადგანაც აზიის ხალხები და პირველ რიგში ჩინელები დაეწევიან ევროპის ქვეყნებს და მსოფლიო არენაზე სრულუფლებიან მოთამაშეებად გამოვლენ.

მენდელეევი აღნიშნავდა, რომ დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, რომელსაც გაფანტული სამფლობელოები ქონდა და ამასთან რიგ მიწებზე უცხო მოსახლეობა ჭარბობდა, რუსეთი იყო სრულფასოვანი, ერთიანი სახელმწიფო, როგორც სივრცით-კონტინენტური, ისე მოსახლეობის თვალსაზრისით. რუსეთის გამოსახვას ერთიან მთლიანობად სიმბოლური მნიშვნელობაც ქონდა. რუსეთს, რომელიც ნაწილობრივ ევროპაში, ხოლო ნაწილობრივ აზიაშია განლაგებული, ესაზღვრება

მსოფლიოს ამ ორი მხარის ცენტრალურ ნაწილებს, ისტორიულად ეკისრება მისია, რომ ევროპა აზიასთან შეარიგოს, დააკავშიროს და შერწყას.

მენდელეევი თვლიდა, რომ ევროპა და აზია ორი განსხვავებული სამყაროა, რომელთა შორის სხვაობაც ათასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა. მენდელეევს მიაჩნდა, რომ რუსეთი ყველა თვალსაზრისით ევროპული ქვეყანა იყო და გაცილებით ნაკლებად აზიური, მაგრამ გეოგრაფიულად შუალედური მდებარეობა მას გარკვეულ დაღს ასვამდა და მან უნდა იპოვოს გზა იმისათვის, რომ შეათავსოს ევროპული ინდივიდუალიზმი აზიურ მორჩილებასა და მტკიცე სახელმწიფო-სოციალურ დარაზმულობას შორის.

რუსეთის ასეთ გეოგრაფიულ მდებარეობაში მდგომარეობს მისი განსაკუთრებულობა და უნიკალურობა, ამის გამო ის არ ჰგავს სხვა ქვეყნებს, ამიტომ მენდელეევი გმობდა სხვა ქვეყნებისთვის რაიმეგვარ მიბაძვას და გაუცნობიერებელ სესხებას.

მენდელეევის აზრით, რუსეთის შუაგული მდებარეობის გამო მის ტერიტორიაზე დიდია სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა შერევა. მენდელეევის თანახმად, რუსეთი არის რა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რუსეთს უნდა ესმოდეს მათი ინტერესები და შეხების წერტილები. მენდელეევი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანების ერთ ეროვნებასა და ენობრივ ჯგუფთან კუთვნილებას. ემიჯნებოდა სლავიანოფილებს, მაგრამ აღნიშნავდა, რომ რუსებისთვის უახლოესი ძმები სლავები არიან. მენდელეევი აკრიტიკებდა ინტერნაციონალიზმს და ამტკიცებს, რომ ნაციონალიზმი იმდენად ბუნებრივია, რომ არასოდეს გაქრება.

დიდი სახელმწიფოების მსოფლიო

მენდელეევს მიაჩნდა, რომ პატარა ხალხებს აღარ შეუძლიათ აბსოლუტურად დამოუკიდებელი სუბიექტები იყვნენ. მათ თავიანთი პოლიტიკის შეთანხმება დიდ სახელმწიფოებთან უხდებათ, რომელთაც მომავალი ეკუთვნით. მენდელეევი პროგნოზით, რომ შეიქმნება სახელმწიფოთა დიდი კავშირები, რადგანაც, მისი აზრით, სამხედრო

შეტაკებების დრო წარსულს ჩაბარდა და მომავალი სამრეწველო-ეკონომიკურ, მორალურ და გონებრივ განვითარებას ქონდა, რაც გამაერთიანებელ ხასიათს ატარებს.

მენდელეევი დიდი სახელმწიფოების რიგებიდან გამორიცხავდა იაპონიას, მიუთითებდა, რომ მას არ შეუძლია ასეთი როლის შესრულება, თუნდაც თავისი პატარა ტერიტორიიდან გამომდინარე, რომლის გაფართოებაც, მენდელეევის აზრით, იაპონიას არ შეუძლია. მენდელეევი თვლიდა, რომ დაპყრობების გზით დიდი იმპერიების წარმოშობა ნაკლებად სავარაუდოა. თანამედროვე მსოფლიოში წარმოუდგენელია რომის ან ბრიტანეთის იმპერიები, მაშინ როდესაც იზრდება პატარა სახელმწიფოების მძლავრ კავშირებად გაერთიანების შესაძლებლობები. ასეთი კავშირები იქმნება ომების თავიდან ასაცილებლად და მშვიდობის შესანარჩუნებლად. მისი აზრით, მომავალი სწორედ ასეთი კავშირების იყო.

მენდელეევი აღნიშნავდა, რომ მსოფლიოს 6 დიდ სახელმწიფოს (რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, ჩრდილოეთ ამერიკა, ინგლისი და ჩინეთი) ხელშია თავმოყრილია მსოფლიოს მოსახლეობისა და სახმელეთო ტერიტორიის ორი მესამედი და ისინი უდიდეს ზეგავლენას ახდენენ პატარა ქვეყნებზე. მენდელეევი თვლიდა, რომ კაცობრიობის შემდგომი ბედი განისაზღვრება ამ დიდი სახელმწიფოების მიერ.[24]

რუსეთი დიდ სახელმწიფოებს შორის

კავშირების დამყარება სხვა ქვეყნებთან ბევრად განსაზღვრავს სახელმწიფოს მომავალს. აქედან გამომდინარე მენდელეევი მიუთითებდა რუსეთის პოტენციურ პარტნიორებზე, რომლებთანაც დაკავშირება პრიორიტეტული და სასარგებლო უნდა ყოფილიყო რუსეთისთვის. აქ მენდელეევი პირველ რიგში ჩინეთს ასახელებდა, რომელიც მისი აზრით, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცეოდა. ამავე დროს ჩინელებსა და რუსებს მრავალი საერთო

---

[24] *Яна Гердт* . Д. И. Менделеев о влиянии природных условий на историю, развитие и политику государства- http://www.lib.csu.ru/vch/101/47.pdf

თვისება აქვთ: მშვიდობისმოყვარენი, დამთმობნი, ამტანები არიან და ა.შ. იაპონიის გაძლიერების შემთხვევაში რუსეთისთვის უბრალოდ აუცილებელი იქნება ჩინეთთან კავშირი, რომელიც ბუფერის როლს ასრულებს მათ შორის.

მენდელეევის აზრით, რუსეთისა და ჩინეთის კავშირს მსოფლიოსთვისაც ექნება მნიშვნელობა. ეს იქნება უძლიერესი კავშირი, რომელთანაც დაპირისპირება არავის მოუნდება, ასევე ამ კავშირის სიმტკიცეზე იქნება დამოკიდებული რუსეთის მიერ "ყვითელი საფრთხის" დაძლევა.

მენდელეევი მიუთითებდა საფრანგეთთან კავშირის აუცილებლობაზეც. ეს კავშირი ისტორიულადაა განპირობებული. საფრანგეთთან და ჩინეთთან კარგი ურთიერთობების დამყარებით რუსეთი თავის მომავალს უზრუნველყოფდა. მენდელეევი ემხრობოდა ურთიერთობების განვითარებას ინგლისთან, გერმანიასთან და აშშ-სთან, იდეალურად კი 6 დიდი სახელმწიფოს კავშირი მიაჩნია. სწორედ ასეთი კავშირების შექმნა უზრუნველყოფს მშვიდობის დამყარებას პლანეტაზე, ხელს შეუწყობს რუსეთის და ყველა სახელმწიფოს ეკონომიკურ და მატერიალურ პროგრესს.[25]

მენდელეევის აზრით, რუსეთი "შუა სამეფოს" წარმოადგენდა, საკვანძო როლს ასრულებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დიალოგში, განსაკუთრებული მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში.

დიმიტრი მენდელეევმა შეიმუშავა თეორია, რომლის მიხედვითაც რუსეთს მსოფლიოში ცენტრალური გეოგრაფიული და პოლიტიკური მდებარეობა ქონდა, როგორც „შემაერთებელ ხიდს" ევროპასა და აზიას შორის (ამ კუთხით ის ევრაზიელების წინამორბედად მიიჩნევა).[26]

წყნარი ოკეანის მნიშვნელობა რუსეთისათვის

---

[25] *Яна Гердт* . Д. И. Менделеев о влиянии природных условий на историю, развитие и политику государства- http://www.lib.csu.ru/vch/101/47.pdf

[26] *Евгений АНДРЕЕВ.* ОСНОВНЫЕ ЭТАПЫ РАЗВИТИЯ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ГЕОПОЛИТИЧЕСКОЙ МЫСЛИ— ВЛАСТЬ 2010'04 — http://www.isras.ru/files/File/Vlast/2010/04/Osnovnye_etapy.pdf

მენდელეევის განცხადებით, რუსეთი რომელიც უზარმაზარ კონტინენტურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ესწრაფვოდა ოკეანეებზე გასასვლელის მოპოვება. რუსეთი ფლობს ვრცელ სანაპიროს ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეზე, მაგრამ ის მოცემულ ეტაპზე ნაოსნობისთვის ნაკლებად გამოსადეგია.

რუსეთმა მოიპოვა გასასვლელი ბალტიის ზღვაზე, მაგრამ ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვებში მრავალი სახელმწიფოს კუთვნილი წყლების გავლით არის შესაძლებელი ატლანტიკის ოკეანის მიღწევა.

რუსეთმა მოიპოვა გასასვლელი შავ ზღვაზე, მაგრამ ინდოეთის ოკეანის მიღწევა მხოლოდ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების, ასევე სუეცის არხის გავლით და მეწამული ზღვის გადალახვითაა შესაძლებელი. რუსეთმა თუნდაც რომ სპარსეთი დაიკავოს, კვლავ სპარსეთის სრუტეში მოხვდება, რომლის გასასვლელს ინდოეთის ოკეანეში ორმუზის ყელი აკონტროლებს.

რუსეთმა შორეული აღმოსავლეთის ათვისებით გასასვლელი მოიპოვა წყნარ ოკეანეზე, რომელიც ატლანტიკის ოკეანეზე ორჯერ დიდია. ტრანს-ციმბირული მაგისტრალის გაყვანით რუსეთი დაუკავშირდა თავის შორეული აღმოსავლეთის სამფლობელოებს და ამ მიმართულების რუსეთის პოზიციების განმტკიცება მენდელეევს ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

რა უნდა ყოფილიყო რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ

მენდელეევი თავის "სანუკვარ აზრებში" ეხება რუსეთ-იაპონიის ომსაც. ოღონდ ომის საწყის პერიოდს, როდესაც რუსეთს ჯერ განცდილი არ ჰქონდა სასტიკი დამარცხებები. მენდელეევი იმედს გამოთქვამს, რომ ეს ომიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდებოდა. საინტერესოა, თუ როგორ ესახებოდა გამარჯვებული რუსეთის მოქმედება შორეულ აღმოსავლეთში. მას არასაჭიროდ მიაჩნია იაპონიის დაპყრობა, რადგანაც იაპონია მჭიდროდ დასახლებული პატარა ქვეყანაა, მისი კოლონიზაცია, ტერიტორიის ნაკლებობის გამო, შეუძლებელია და ვერც ასეთი დიდი ერის ასიმილირებას შეძლებენ რუსები.

იგივე დამოკიდებულებაა კორეის მიმართ. კორეის რუსეთთან შეერთება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაჩნია შესაძლებლად, თუკი ამას ძალიან მოითხოვენ კორეელები. ისე კი უმჯობესად თვლის კორეის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დატოვებას, რაც გაზრდის რუსეთის პრესტიჟს უცხოეთში.

ომში გამარჯვების შემთხვევაში რუსეთის ყველაზე სასურველ შენაძენად მიაჩნია მანჯურიის შეერთება. მენდელეევის თქმით, მანჯურიაში მოსახლეობა მცირეა და გამოდგება რუსული კოლონიზაციისთვის. მართალია ეს ტერიტორია ჩინეთის სახელმწიფოს ნაწილია, რომელთანაც რუსეთს კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნია ჩინელების დათანხმება, - მანჯურიის სანაცვლოდ მათთვის იაპონიის მიერ ადრე წართმეული ფორმოზის (ტაივანის) დაბრუნება, ან იაპონიის ფლოტის ნაწილის გადაცემა და ა.შ.

მენდელეევის აზრით, მანჯურიის მიერთება რუსეთის სამფლობელოებთან გააძლიერებდა რუსეთის პოზიციებს შორეულ აღმოსავლეთში.

თუმცა, რუსეთ-იაპონიის ომი სულ სხვა შედეგით დამთავრდა. რუსეთის იმპერიისთვის შორეულ აღმოსავლეთში პოზიციების შენარჩუნების ამოცანა დადგა დღის წესრიგში

5. სემიონოვ-ტიან-შანსკი: სივრცეზე გეოპოლიტიკური ბატონობის კონცეფცია

გეოპოლიტიკისთვის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა სახელმწიფოს ტერიტორიული განვითარება. რუსულ გეოპოლიტიკაში, ამ სახელმწიფოს ტერიტორიული სიდიდის გამო, აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. რუსულ გეოპოლიტიკაში შემუშავდა სივრცეზე გეოპოლიტიკური კონტროლის განსაკუთრებული მოდელი. ამ მოდელის თეორიული დამუშავების სათავეებთან იდგნენ ბენიამინ სემიონოვ-ტიან-შანსკი და ალექსეი ვანდამი.

რუსული გეოპოლიტიკური სკოლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ბენიამინ პეტრეს ძე სემიონოვ-ტიან-შანსკის მიერ შემუშავებული მსოფლიო გეოპოლიტიკური ბატონობის კონცეფცია, რომელიც ფრიდრიხ რატცელის "სასიცოცხლო სივრცის" და ჰ.მაკინდერის "ჰართლენდის თეორიის" ალტერნატივას წარმოადგენდა. ბ.სემიონოვ-ტიან-შანსკის გეოპოლიტიკური კონცეფცია 1917 წლამდეა ჩამოყალიბებული (განსაკუთრებით აღსანიშნავია 1917 წელს გამოცემული ნაშრომი - „ძლევამოსილი ტერიტორიული მფლობელობის შესახებ რუსეთთან მიმართებაში: პოლიტიკური გეოგრაფიის ნარკვევი“), თუმცა ზოგიერთი საკითხი განზოგადოებულია 1928 წელს გამოსულ ნაშრომში ”რაიონი და ქვეყანა”.

ბიოგრაფიული ცნობები

ბენიამინ პეტრეს ძე სემიონოვ-ტიან-შანსკი (1870-1942) ცნობილი რუსი მოგზაურის და სახელმწიფო მოღვაწის პ.პ.სემიონოვ-ტიან-შანსკის შვილი იყო. სპეციალობით გეოგრაფი, XX საუკუნის დასაწყისში აქვეყნებს გეოპოლიტიკური ხასიათის ნაშრომებსაც. ბოლო ასეთი ნაშრომი მან 1915 წელს გამოაქვეყნა, საბჭოთა პერიოდში კი წმინდა გეოგრაფიულ თემებზე მუშაობდა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა უშიშროების სამსახური თვალს ადევნებდა როგორც პოლიტიკურად არასაიმედოს, 1932 წელს სემიონოვ-ტიან-შანსკიმ შეწყვიტა პედაგოგიური საქმიანობა და მხოლოდ ლენინგრადის გეოგრაფიულ მუზეუმში მუშაობდა, თუმცა მეცნიერების პოლიტიზაციის პირობებში, მისი ამგვარი საქმიანობაც მიუღებელი ხდებოდა საბჭოთა სისტემისთვის. 1930-იანი წლების შუახანებიდან დაიწყო ყველა ”არასაბჭოთა” სამეცნიერო მიმართულების დევნა. 1935 წელს უშიშროებამ გეოგრაფიულ მუზეუმს და სემიონოვ-ტიან-შანსკის ხელმძღვანელობით მოქმედ ლაბორატორიას ბრალი დასდო ”საბჭოთა კავშირში მთელი სამეურნეო მშენებლობის დისკრედიტაციაში”, 1936 წელს პრესაში დაიწყო სემიონოვ-ტიან-შანსკის ღია კრიტიკა და ის იძულებული გახდა გა-

დამდგარიყო. თუმცა, ამან მუზეუმი დახურვას ვერ გადაარჩინა. მეცნიერის დევნის საბაბი იყო მისი ადრინდელი ნაშრომები ანთროპოგეოგრაფიაში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების აზრით, იგივე იყო, რაც გეოპოლიტიკა, ეს კი ნაცისტურ გერმანიასთან ასოცირდებოდა და საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო.

სემიონოვ-ტიან-შანსკიმ მეორე მსოფლიო ომის დროს ევაკუაციაზე უარი თქვა და 1942 წლის 8 თებერვალს გარდაიცვალა ბლოკადაში მოქცეულ ლენინგრადში. შვილმა ვლადიმირმა საწერი მაგიდისაგან კუბო გააკეთა და ისე დაასაფლავა.

დედამიწის "კრიტიკული ზონა"

სემიონოვ-ტიან-შანსკის კონცეფციის ფარგლებში განსაკუთრებულ როლს ასრულებს კრიტიკული ზონა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, ეკვატორსა და ჩრდილოეთის განედის 45 გრადუსს შორის, სადაც განლაგებულია სამი ვრცელი ოკეანის ყურე, რომელთაც სემიონოვ-ტიან-შანსკი "ხმელთაშუა ზღვებს" უწოდებს. ესაა:

- ევროპული ხმელთაშუა ზღვა (შავი ზღვის ჩათვლით);
- ჩინეთის (სამხრეთის და აღმოსავლეთის), იაპონიისა და ყვითელი ზღვები;
- კარიბის ზღვა მექსიკის ყურით.

ევროპული ხმელთაშუა ზღვა შავი ზღვით მატერიკის სიღრმეში ყველაზე ღრმად შეჭრილ ოკეანის ყურეს წარმოადგენს. ჩინეთ-იაპონიის და კარიბ-მექსიკის ხმელთაშუა ზღვები კი ოკეანისაგან მხოლოდ კუნძულების მწკრივითაა გამოყოფილი.

სემიონოვ-ტიან-შანსკი აღნიშნავს, რომ სამ ხმელთაშუა ზღვასა და მათ შორის მდებარე ორ ნახევარკუნძულზე _ ინდოეთისა და მცირე აზია-არაბეთის _ ჩამოყალიბდა მსოფლიოს ყველაზე ძლიერი და ორიგინალური ცივილიზაციები, რელიგიური სისტემები და სახელმწიფოები: არიელ-სემიტების, მონღოლ-მალაელების და აცტეკ-ინკების, მაშინ როდესაც დანარჩენი სუსტი ტომები უმეტესწილად ნეოლითის ხანაში დარჩნენ. ამასთან, ყველაზე ძლიერი და სრულყოფილი პოლიტიკური სისტემები ჩამოყალიბდა ამ ზღვების

კლიმატური თვალსაზრისით ყველაზე ზომიერ ჩრდილოეთ ნაწილში: ევროპაში ესაა ბალკანეთის, აპენინის და პირენეის ნახევარკუნძულები, აზიაში - ჩინეთისა და იაპონიის სანაპიროები.[27]

ხალხი, რომელიც დაეუფლებოდა ერთ-ერთ ხმელთაშუა ზღვას, ხდებოდა მიმდებარე ტერიტორიების განმკარგავი და განმანათლებლობის მატარებელი, თავის გავლენის სფეროში მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა გარშემო მდებარე უდაბნოებსაც. წარსულში გეოგრაფიული წარმოდგენების შეზღუდულობის გამო ის ითვლებოდა „მსოფლიოს მბრძანებლად“.

სემიონოვ-ტიან-შანსკის თქმით, ჩვენს დროში არ მომხდარა ისეთი გეოლოგიური გადატრიალება, რომელიც რამდენადმე მნიშვნელოვნად შეცვლიდა ამ სამი ზღვისა და მათი სანაპიროების მსოფლიო გეოგრაფიულ მნიშვნელობას, მაგრამ ცნება „მსოფლიოს მბრძანებელი“ მრავალგზის გაფართოვდა. მსოფლიოზე ბატონობას ის მოიპოვებს, ვინც დაეუფლება სამივე ზღვას, ანდა მსოფლიოს სამი მბრძანებელი გახდება ის სამი ერი, რომელთაგან თითოეული დაეუფ-ლება ერთ-ერთ ამ ზღვას. მსოფლიოს ისტორია ისე წარიმართა, რომ ვერავინ მოახერხა ერთდროულად სამივე "ხმელთაშუა ზღვაზე" გაბა-ტონება.

მთავარი გეოპოლიტიკური აღმოჩენა: სივრცის გეოპოლიტიკური კონტროლის ფორმები

რუსი გეოპოლიტიკოსების თქმით, სემიონოვ-ტიან-შანსკის მთავარი გეოპოლიტიკური აღმოჩენა, რასაც რუსეთისთვის სტრატე-გიული მნიშვნელობა აქვს, არის ”ზღვიდან ზღვამდე” სივრცის გეოპ-ოლიტიკური კონტროლის რუსული სისტემის დასაბუთება.

---

[27] სემიონოვ-ტიან-შანსკი აღნიშნავს, რომ სამივე ხმელთაშუა ზღვას ნაყოფიერი მიწების სარტყელის შემდეგ გარს ეკვრის უდაბნოები (საჰარის, ლიბიის, არა-ბეთის, სირიის, ირანის, ინდოეთის, ტიბეტის, მექსიკის, პერუს). უდაბნოებში გან-ვითარდა ყველა სრულყოფილი და ღრმა, ორიგინალური რელიგიური წარმოდგენები, რომლებიც შემდეგ ნაყოფიერ მიწებზე მცხოვრებთა შორის ვრცელდებოდა.

სემიონოვ-ტიან-შანსკიმ გამოყო ისტორიულად ჩამოყალიბებული "პოლიტიკური ძლიერების ტერიტორიული სისტემების", სივრცის გეოპოლიტიკური კონტროლის სამი ფორმა:

- რგოლისებური სისტემა;
- ნაგლეჯისებური ანუ წერტილოვანი სისტემა;
- სისტემა "ზღვიდან ზღვამდე".

რგოლისებური სისტემა. გეოპოლიტიკური გავლენის რგოლისებური სისტემა წარმოიშვა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე. სემიონოვ-ტიან-შანსკი მის ფორმირებას ხსნის არა ბუნების, არამედ ბუნებრივ-ისტორიული მიზეზებით. ხმელთაშუა ზღვაში თავისი სამფლობელოების ისტორიულ წრეს კრავდნენ ევროპელები _ ბერძნები, კართაგენელები, რომაელები, გენუელები, ვენეციელები. მოგვიანებით ეს მოდელი გამოიყენეს შვედებმა (XVII ს.) და ფრანგებმა ნაპოლეონ I-ის დროს.

პირველი რგოლის შეკვრა დაიწყეს ბერძნებმა თავისი კოლონიებით. რგოლის დიდი ნაწილი უკვე გამოჭედილი იყო და ძლევამოსილი მფლობელობის დასამთავრებლად რჩებოდა მხოლოდ საბერძნეთში რესპუბლიკური ქალაქ-სახელმწიფოების გაერთიანება, მაგრამ საბერძნეთი დაიპყრეს მაკედონელებმა. ალექსანდრე მაკედონელი ძალიან გაიტაცა სამხედრო წარმატებებმა აღმოსავლეთში და დასცილდა თავის ბერძნულ ბაზას. მან ჩაიფიქრა პოლიტიკური ძლიერების ახალი ტერიტორიული სისტემის განხორციელება - კონტინენტის გავლით ზღვიდან ზღვამდე (ბერძნული არქიპელაგი - ინდოეთის ოკეანე), მაგრამ თავის მემკვიდრეებს დაუტოვა ცარიელი სატრაპიები მაკედონური გარნიზონებით. ბერძნული რგოლი არ გამოიჭედა.

მეორედ ძლიერების ტერიტორიული რგოლის შეკვრა ფინიკიელებმა სცადეს, ფინიკიური კოლონიების მეშვეობით ხმელთაშუა ზღვაზე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში რომაელებმა წელში გატეხეს კართაგენელები და თავიანთი რკალი ააგეს მთელი ხმელთაშუა ზღვის გარშემო. რომაელებს კარგი ფლოტი ყავდათ, მაგრამ მათი ძირითადი დასაყრდენი მაინც სახმელეთო ლეგიონები იყო.

რგოლისებურ სისტემას ხმელთაშუა ზღვაზე იყენებდა ნაპოლეონ I და ამას შეძლებდა კიდეც (იტალიის დაპყრობა, ესპანეთის, ბალკანეთისა და ეგვიპტის დაპყრობის დაწყება, რუსეთთან ერთად თურქეთის გაყოფის პროექტი), მაგრამ შეეჯახა ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგობას.

იგივე სისტემა წარმატებით გამოიყენა XVII საუკუნეში შვედეთმა ჩრდილოეთის ხმელთაშუა ზღვაზე - ბალტიის ზღვაზე, სანამ არ წააწყდა რუსეთის წინააღმდეგობას პეტრე I-ის დროს.

რგოლისებური სისტემის ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ სახელმწიფოს შიდა ნაწილები მოხერხებულად უკავშირდება ერთმანეთს ხმელთაშუა ზღვით, განაპირა მხარეები შედარებით ახლოს არიან სანაპიროდან და მათი დაცვა გარედან თავდასხმის შემთხვევაში ძალზედ გაადვილებულია. რგოლისებური სისტემის დაშლა, ჩვეულებრივ, განპირობებულია მოსახლეობის ზრდით მომიჯნავე მატერიკულ მასივებზე და მათი "გვერდითი ზეწოლით" ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, სადაც ცდილობდნენ გასვლას.[28]

წერტილოვანი სისტემა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროს ჩამოყალიბდა გეოპოლიტიკური კონტროლის წერტილოვანი ანუ ნაგლეჯისებრი სისტემა. ამ სისტემის დროს სხვადასხვა მატერიკებზე იპყრობენ სანაპიროს გარკვეულ ტერიტორიას, რომელთაც მეტროპოლიიდან და ერთმანეთთან კავშირი აქვთ ფლოტის მეშვეობით. მეტროპოლიასა და მის კოლონიებს შორის საზღვაო გზებზე ეწყობა მრავალრიცხოვანი სამხედრო ბაზები, საყრდენი პუნქტები, მოხერხებული ნავსადგურები. მათ ერთმანეთთან აკავშირებს სამხედრო და კომერციული გემების პერიოდული რეისები. წერტილოვანი სისტემა პირველად გამოიყენეს პორტუგალიელებმა, ესპანელებმა, შემდეგ ჰოლანდიელებმა და ფრანგებმა, მაგრამ მის განვითარებაში ყველაზე მეტ წარმატებას ინგლისელებმა მიაღწიეს XVIII-XIX საუკუნეებში.

სივრცეზე კონტროლის ასეთი სისტემა მაქსიმალურ ეფექტს აღწევს შეიარაღებული საზღვაო სახელმწიფოების მიერ განვითარებაში ჩამორჩენილი ხალხების ("ველურების") მონათმფლობელური ექს-

[28] См.: Семенов-Тян-Шанский В.П. Район и страна. М.-Л., 1928, с.160-161

პლუატაციის პირობებში. სემიონოვ-ტიან-შანსკი კრიტიკულად უყურებს სივრცეზე კონტროლის წერტილოვან სისტემას. ესპანეთისა და პორტუგალიისთვის მას მოჰყვა მეტროპოლიების გამოფიტვა და დაცემა, წარუმატებელი აღმოჩნდა ჰოლანდიისა და საფრანგეთის ანალოგიური მცდელობებიც, რომელთაც ინგლისთან განიცადეს მარცხი.[29]

ინგლისი ორი საუკუნის განმავლობაში იყენებდა ამ სისტემას. მაგრამ მან ვერ შეძლო თავისი გავლენის ქვეშ შეენარჩუნებინა ჩრდილოეთ ამერიკა, რომელიც ინგლისს ჩამოსცილდა. იგივე მოხდებოდა მის სხვა კოლონიებში, დროზე რომ არ შემოეღო ფართო თვითმმართველობა.

წერტილოვანი სისტემის ეფექტურობა დააზარალა ტრანსკონტინენტური რკინიგზების გაჩენამაც, რომელიც ხმელეთით ტვირთებისა და ადამიანების გადაადგილების დროს ამცირებდა და უფრო სწრაფადაც ხორციელდებოდა, ვიდრე ზღვით კონტინენტის გარშემო. ამიტომ ინგლისელები XIX საუკუნის ბოლოდან წერტილოვანი სისტემის კომბინირებას იწყებენ კონტინენტურთან - „ზღვიდან ზღვამდე“ სისტემასთან. აფრიკაში თავიანთი სამფლობელოების დაკავშირებას ბრიტანელები შეეცადნენ უწყვეტი ხაზით, კაპიდან ეგვიპტემდე, რომელზეც ტრანსკონტინენტური გზა გაიყვანეს. ანალოგიური გზის გაყვანას ისინი აპირებდნენ აფრიკასა და აზიას შორის, სირიისა და პალესტინის გავლით. ამით დააკავშირებდნენ ინდოჩინეთს, ინდოეთს და ხმელთაშუა ზღვას, ეს იქნებოდა სამხრეთის ტრანსკონტინენტური გზა, მაგრამ ამას ხელს უშლიდა გერმანია, ინგლისის მაშინდელი მთავარი მოწინააღმდეგე.

თავის მხრივ გერმანია შეეცადა ერთდროულად გამოეყენებინა წერტილოვანი სისტემა ცალკეული კოლონიების სახით მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში და მთლიანი კონტინენტური სვლა აღმოსავლეთისკენ და სამხრეთისკენ, სლავური მიწების გადავლით ხმელთაშუა და შავი ზღვებისაკენ. სემიონოვ-ტიან-შანსკის თქმით, გერმანიის

[29] საფრანგეთმა სცადა დაბრუნებოდა რგოლისებურ სისტემას, მაგრამ დამარცხდა ინგლისთან და რუსეთთან ბრძოლაში.

მიერ „ორი კურდღლის დევნას“ გარდუვალად მოჰყვა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მთელი კოლონიური მოძრაობის კატასტროფა.

კონტროლის წერტილოვანი სისტემა ყველაზე მოწყვლადია იმ ადგილებში, სადაც მას კონტინენტური სახელმწიფოები ესაზღვრება და შეუძლიათ მძლავი "გვერდითი" ზეწოლის განხორციელება. ამიტომ, პოლიტიკური მოსაზრებებით, არცთუ იშვიათად გამოიყენება სახელმწიფო-ბუფერების ხაზი, რომლებიც მოკლებულნი არიან დამოუკიდებლობას და ასრულებენ მათი შემქნელების მითითებებს. XIX საუკუნეში ინგლისი ბუფერულ სისტემას იყენებდა ინდოეთსა და თურქესტანს შორის ავღანეთის სახით.

სემიონოვ-ტიან-შანსკი, როდესაც 1915 წელს თავის ამ ნაშრომს წერდა, აკეთებს პროგნოზს, რომ „ევროპელთა მიერ გამოცდილ მფლობელობის რგოლისებური სისტემის“ გამოყენებას მექსიკისა და ჩინეთის ხმელთაშუა ზღვების მიმართ შეეცდებიან ამერიკელები და იაპონელები.

მანამდე კი ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ორი უდიდესი ქვეყანა - აშშ და რუსეთი, ასევე ბრიტანეთი კანადაში იყენებენ ალექსანდრე მაკედონელის სისტემას „ზღვიდან ზღვამდე“.

”ზღვიდან ზღვამდე”. წერტილოვანი გეოპოლიტიკური კონტროლის ალტერნატივაა სისტემა "ზღვიდან ზღვამდე", რომლის დროსაც მატერიკის შიგნით იპყრობენ ვრცელ ტერიტორიას და რომლის საზღვრებიც ორივე მხრიდან ზღვაზე გადის. მთელი ყურადღება გადატანილია შიდა სამდინარო და სახმელეთო გზების მდგრადობაზე და შიდა კოლონიზაციაზე. ძველმა სპარსეთმა, აშშ-მ და რუსეთმა აჩვენეს ტერიტორიული მფლობელობის ამ ტიპის შესაძლებლობა.

კონტინენტური სისტემის მთავარი ნაკლი ისაა, რომ დიდი სივრცის პირობებში მკვეთრი სხვაობაა ცენტრისა და პერიფერიის ათვისებას შორის. ჩვეულებრივ ის რაიონი, საიდანაც დაიწყო კოლონიზაცია და პოლიტიკური "მიწების შეკრება", უფრო მჭიდროდაა დასახლებული და ეკონომიკურად უფრო განვითარებულია, ვიდრე დანარჩენი ტერიტორიები.

მეზობლებთან შეჯახების დროს ასეთ სახელმწიფოს ემუქრება ზღვების მხრიდან ბლოკადის შესაძლებლობა. როგორც შედეგი, არსებობს საფრთხე, რომ მტერმა შეიძლება თუნდაც დროებით დაიპყროს სანაპირო ტერიტორიები. ეს უკანასკნელი გარემოება ანადგურებს "ზღვიდან ზღვამდე" სისტემის არსს და აუძლურებს ქვეყანას.

ჩრდილოეთ ამერიკაში აშშ-ს საფრთხე არ ემუქრებოდა მეზობლების მხრიდან. ამიტომ მას მშვიდად შეეძლო კოლონიზაციის ტალღის გადასროლა ატლანტიის ოკეანიდან წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ეკონომიკურად გაემაგრებინა ის და შემდეგ მშვიდად შეევსო მოსახლეობით სუსტად დასახლებული თავისი სახელმწიფო ტერიტორიის ცენტრალური ნაწილი.

რუსეთის შემთხვევაში წყნარი ოკეანისკენ მიმართულ კოლონიზაციას აქვს თანდათან შევიწროებადი დაკბილული მახვილის ფორმა, რომელიც სულ უფრო წვრილდება და სუსტდება თავის აღმოსავლეთის ბოლოზე. აქ ის სოლივითაა შეჭრილი ჩრდილოეთ აზიის კლიმატურად მკაცრ ტერიტორიებსა და „ყვითელი რასის ყველაზე დიდ სახელმწიფოს“, ჩინეთის მიწებს შორის.

გარე მტრებთან ნებისმიერი შეტაკების დროს (ასეთი რამ სემიონოვ-ტიან-შანსკის თქმით, შესაძლებელია „ყვითელი რასის მრავალმილიონიანი მოსახლეობის პირობებში“) ძალზედ ადვილია ასეთი მახვილის დაბოლოების მოკვეთა. თუმცა, შემდგომი ნაწილების მოკვეთის მცდელობების შემთხვევაში წინააღმდეგობა გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება. მაგრამ თუნდაც ერთი ბოლოს მოკვეთა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ დაინგრეს „ზღვიდან ზღვამდე“ მთელი სისტემა.

განსაკუთრებით არახელსაყრელია, როდესაც კულტურული თვალსაზრისით ჩამორჩენილი სახელმწიფოს კოლონიზაციის მახვილი მიმართულია უფრო კულტურული მეზობლებისკენ, რასაც კარგად აჩვენებს თურქეთის ბედი ბალკანეთის ომში. თურქეთის ბრძოლა ევროპაში „ზღვიდან ზღვამდე“ სისტემის შესანარჩუნებლად უიმედო იყო.

სახელმწიფო ტერიტორიის გაჭიმულობის პირობებში, სემიონოვ-ტიან-შანსკი რუსეთისთვის გამოსავალს ხედავდა მოსახლეობის

რაოდენობის ზრდასა და ტერიტორიის გეოგრაფიული ცენტრის ეკონომიკურ განვითარებაში. ამ შემთხვევაში უკიდურესი აღმოსავლეთ ნაწილი თავისთავად მიუახლოვდებოდა მოსახლეობითა და კულტურული გარემოთი ძლიერ სახელმწიფოს დასავლეთ ნაწილს და გაცილებით წარმატებით შეებრძოლებოდა გარე მტრებს.[30]

სემიონოვ-ტიან-შანსკის აზრით, მოსახლეობის ასეთი გათანაბრების პირობებში, რუსეთს შორეული აღმოსავლეთის დაცვა ისეთივე წარმატებით შეეძლება, როგორც ფინეთის ან პოლონეთისა, კომუნიკაციების გაცილებით ცუდი მდგომარეობის მიუხედავად უფრო მეტადაც კი, რადგანაც შორეულ აღმოსავლეთში რუსული მოსახლეობა უფრო მეტი იქნება, ვიდრე „ინოროდცები“.

ასეთი გათანაბრების გარეშე შორეული აღმოსავლეთის დაცვა იმდენად ძნელი იქნება, რომ სავსებით გასაგები ხდებოდა იქ მცხოვრები რუსების ფსიქოლოგია, რომლებიც თავს "დროებით მცხოვრებლებად" აღიქვამდნენ.

რუსული ევრაზიის კონცეფცია

სემიონოვ-ტიან-შანსკის აზრით, რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობას განაპირობებს ასევე გეოგრაფიული წარმოდგენის შეცვლა, როდესაც სახელმწიფოს ურალის ქედით ხელოვნურად ყოფენ ევროპულ და აზიურ ნაწილად. სწორედ რუსებს ყველაზე მეტად უარი უნდა ეთქვათ ევროპისა და აზიის გეოგრაფიულ გამოყოფაზე და ის ერთ გეოგრაფიულ მთლიანობად წარმოედგინათ, საპირისპიროდ ყვითელი რასის მიერ დროდადრო წამოყენებული დოქტრინისა - „აზია აზიელებისათვის“. ეს დოქტრინა სრულიას უსუსურია უკვე იმიტომ, რომ აზიის გეოგრაფიული საზღვრები სრულიად ხელოვნური და გაურკვეველია და ევრაზიის მატერიკი უძველესი დროიდან დასახლებულია ორი, ისტორიული განვითარების თვალსაზრისით თანაბარი რასით, რომლებიც მხოლოდ კანის ფერით

[30] Семенов-Тян-Шанский В.П. О могущественном территориальном владении применительно к Росии. С.16.

განსხვავდებიან. თეთრკანიანი რასა აზიაში არანაკლებ მრავალრიცხოვანია, ვიდრე ევროპაში.[31]

მისი აზრით, რუსეთის რუქა უნდა დაეყოთ ორ დაახლოებით თანაბარ ნაწილად - დასავლეთ ნაწილად (პოლონეთის საზღვრებიდან მდინარე ენისეიმდე), რომელიც კარგად იყო შესწავლილი და ათვისებული და აღმოსავლეთ ნაწილად, რომელიც სუსტადაც იყო შესწავლილი და რუსეთის მფლობელობაც ნაკლებად მყარი იყო.

დასავლეთ ნაწილში სემიონოვ-ტიან-შანსკი წინადადებას აყენებდა გამოეყოთ 11 ტერიტორია ან რაიონი, აღმოსავლეთ ნაწილში - 8, ე.ი. საჭიროდ თვლიდა რუსეთის მთელი რუქა დაეყო 19 ნაწილად.

სემიონ-ტიან-შანსკიმ შეიმუშავა რუსული ევრაზიის კონცეფცია, გამოყო განსაკუთრებულ კულტურულ-ეკონომიკურ ერთეულად სივრცე ვოლგასა და ენისეის შორის და ყინულოვანი ოკეანიდან სახელმწიფოს სამხრეთის საზღვრებამდე. ის მოუწოდებდა აღნიშნული არეალი არ ჩაეთვალათ განაპირა მხარედ და რუსეთის ისეთივე ძირეულ ნაწილად მიეჩნიათ, როგორადაც ევროპულ რუსეთს მიიჩნევდნენ. ეს ტერიტორის შეიძლება მოეწყოს იმ კულტურულ-ეკონომიკური ტიპის მიხედვით, რასაც რუსები ისტორიულად შეეჩვივნენ სახელმწიფოს ევროპულ ნაწილში. მაშასადამე, ის ისეთივე მტკიცე შეიძლება გახდეს პოლიტიკური მეზობლების თვალში, როგორ ევროპული რუსეთი.

სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლება

სემიონოვ-ტიან-შანსკის აზრით, რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობის, „ზღვიდან ზღვამდე“ სისტემის განმტკიცების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლება ჭეშმარიტი გეოგრაფიული ცენტრის ახლოს. ამის გაკეთება ორი გზით შეიძლებოდა.

---

[31] სემიონოვ-ტიან-შანსკის თქმით, ამერიკის კონტინენტზე, სადაც ჩამოყალიბდა მონროს დოქტრინა, ერთმა რასამ მართლაც გაანადგურა მეორე და ამიტომ სრული უფლება აქვს ამ ტერიტორიის განკარგვისა.

პირველი _ რადიკალური, რასაც მისდევდა პეტრე I, რომელმაც დედაქალაქი მოსკოვიდან ნევის შესართავთან გადაიტანა და შვედებს დაუახლოვა. სემიონოვ-ტიან-შანსკის განცხადებით, ამ გზას რომ გაყვეს რუსეთი, დედაქალაქი უნდა გადაეტანათ მოსკოვიდან ურალში, მაგალითად, ეკატერინბურგში. მისი თქმით, დედაქალაქის გადატანა გამოსადეგია პრიმიტიული სახელმწიფოებისათვის, როდესაც ასეთი ექსპერიმენტები შედარებით იაფი ჯდება. თანამედროვე პირობებში ასეთი მიდგომა მოითხოვს დიდ მატერიალურ და ფინანსურ დანახარხებს, რაც გამართლებული არაა. გარდა ამისა, კომუნიკაციის საშუალებები იმდენად გაუმჯობესდა და იმდენად სწრაფად ხდება დაკავშირება ქვეყნის შორეულ ნაწილებთან, რომ დედაქალაქის გადატანის საჭიროება არ არის.

მეორე გზაა - ახალი კულტურულ-ეკონომიკური "კოლონიური ბაზის" შექმნა, რაც ახალი არ არის და შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ეს უნდა იყოს დაჩქარებული განვითარების ანკლავები. ისინი ხელს შეუწყობენ სახელმწიფოს ტერიტორიის სიმტკიცეს და მოსახლეობის თანაბარ განაწილებას.

რუსეთის კოლონიზაციური ბაზები

სემიონოვ-ტიან-შანსკის აზრით, რუსული კოლონიზაცია პრინციპულად განსხვავდებოდა ევროპული და ამერიკული კოლონიზაციისგან, რადგანაც რუსეთის მთელი ისტორიის მანძილზე და კიდევ დიდხანს სამომავლოდაც რუსული კოლონიზაცია ატარებდა სამხედრო-მობილიზაციურ ხასიათს, დამოკიდებული იყო საზღვრების უსაფრთხოებაზე ამა თუ იმ ფრონტზე, სანამ რუსეთის ახალი ბაზები ისე მოეწყობოდა, რომ თავის დაცვას შეძლებდნენ.

რუსულ ისტირულ, სტატისტიკურ და დემოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით მან დაამუშავა ჰიპოთეზა კოლონიზაციური ბაზების, როგორც ტერიტორიულ-პოლიტიკური სიძლიერის ამოსავალი წერტილებისა და გარანტისა. ეს კერები ყველა მიმართულებით აგზავნიან სხივებს, ინარჩუნებენ სახელმწიფოს ტერიტორიულ

სიმტკიცეს და ხელს უწყობენ მის თანაბარ დასახლებასა და კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებას.

სემიონოვ-ტიან-შანსკის აზრით, რუსეთის ევროპულ ნაწილზე არის ოთხი ასეთი წმინდა რუსული ბაზა, რომლებიც სხვადასხვა დროს წარმოიშვა. პირველი ბაზებია - გალიციისა და კიევ-ჩერნიგოვის, მეორეა - ნოვგოროდ-პეტროგრადის მიწა, მესამეა მოსკოვის და მეოთხეა შუა ვოლგის მიწა.

გალიჩის და კიევ-ჩერნიგოვის და ნოვგოროდ-პეტროგრადის ბაზები მიმართულია დასავლეთისკენ, ხშირად ეცემოდნენ, მაგრამ შემდეგ ისევ აღორძინდებოდნენ. მხოლოდ მოსკოვისა და შუა ვოლგის მიწები, რომელთაც შიდა გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვთ, განუწყვეტლივ ვითარდებოდნენ, დაცემის ხანგრძლივი პერიოდების გარეშე. მხოლოდ ამ ბაზების წყალობით, რამაც ქვეყანას საშუალება მისცა ფეხი მოეკიდა ოთხი ზღვის სანაპიროებზე, ევროპული რუსეთი წარმოდგება იმ კულტურულ-ეკონომიკურ მასად, რამაც საშუალება მისცა ჩამდგარიყო მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების რიგში.

სემიონოვ-ტიან-შანსკის აზრით, რუსეთის იმპერიის დასავლეთ ნაწილი მის ყველაზე მტკიცე სამფლობელოს წარმოადგენს და გარეშე მტრის თავდასხმის შემთხვევაში იწვევს ხალხის გმირულ წინააღმდეგობას, როგორ ეს მოხდა 1812 და 1914-1915 წლებში.

იმისათვის, რომ მთლიანად განვითარდეს "ზღვიდან ზღვამდე" რუსული სისტემა, სემიონოვ-ტიან-შანსკის აზრით, აუცილებელია აზიურ ნაწილშიც შეიქმნას ოთხი ანალოგიური ბაზა: რუსეთის ევრაზიაში ურალი და ალტაი ენისეის გუბერნიის მთიანი ნაწილით; შუა აზიის სამფლობელოებში - მთიანი თურქესტანი შვიდმდინარეთით და აღმოსავლეთ ციმბირში - ბაიკალის გარშემო, რომელიც სხვა ბაზებთან შედარებით გვიან განვითარდება. ბაზების განვითარება ნიშნავს გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას, საჭიროა მხოლოდ ზუსტად განისაზღვროს იმ ბაზრის მოთხოვნილებანი, რაზეც ეს საწარმოები იმუშავებენ.

ოთხი მომავლის ბაზის (ურალის, ალტაის, თურქესტანის და ბაიკალისპირა) შექმნას პირველ რიგში სჭირდება შედარებითი გეოგრაფიული შესწავლა.

რუსული კოლონიზაციის სტიქიური სწრაფვა ჰორიზონტალური (განედური) მიმართულებით - წყნარი ოკეანის ნაპირებისკენ - შეიძლება შეწყდეს მხოლოდ ორ შემთხვევაში: ბუნების ფიზიკური ძალების ზემოქმედებით (ახალი გამყინვარების დაწყება) ანდა ისტორიულით (ჩრდილოეთ აზიაში ხანგრძლივი პოლიტიკური წარუმატებლობების შედეგად).

ორივე შემთხვევაში, თუკი რუსეთი დაკარგავს ბაიკალისპირა ბაზას, რუსული კოლონიზაცია იძულებული იქნება სპონტანურად უკან დაიხიოს ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, სამხრეთისაკენ, წარიმართოს ხმელთაშუა ზღვისა და სპარსეთის ყურისკენ. ამ შემთხვევაში "ზღვიდან ზღვამდე" გეოპოლიტიკური ბატონობის სისტემის აგებას შეეცდებოდა მერიდიანული მიმართულებით, მაგრამ დღემდე ამ მოდელის განხორციელება ვერავინ მოახერხა. სემიონოვ-ტიან-შანსკის აზრით, ამ შემთხვევაში ბაიკალისპირა კოლონიზაციის ბაზა შეიცვლებოდა მცირე აზია-კავკასიის ბაზით და აუცილებელი იქნებოდა ბოსფორ-დარდანელის სრუტეების ფლობა.

ჩანერგვა და დაპყრობა

სემიონოვ-ტიან-შანსკი განასხვავებდა გეოგრაფიული სივრცის ათვისების ორ ძირითად სახეს: ჩანერგვას და დაპყრობას. ათვისება ამ ორივე სახით მიმდინარეობდა ყოველთვის ნაკლები წინააღმდეგობის მიმართულებით. ამასთან, თუკი დამპყრობლურ მოძრაობაში ძალიან არ იფიტებოდა ხალხი-დამპყრობლის შინაგანი ძალები, წარმოიქმნებოდა ხანგრძლივ დროის მანძილზე არსებული ძლიერი სახელმწიფო, როდესაც მიმდინარეობდა მისი გაბატონებული ტომის ნელი ჩანერგვა დაკავებული ტერიტირიის ყველა კუთხეში. თუკი დაპყრობის დროს დამპყრობლის ძალები ძალიან იფიტებოდა, მაშინ სახელმწიფო სწრაფად იშლებოდა და მხოლოდ გარკვეულ კვალს ტოვებდა დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ აბორიგენთა კულტურაზე.

სემიონოვ-ტიან-შანსკის აზრით, კარგი იქნებოდა რუსეთის სახელმწიფოს დაყოფა თვითმმართველ ერთეულებად, რომელთაც შეეძლებოდათ ადგილობრივი საქმეების დამოუკიდებლად გაძღოლა

და ცენტრიდან სამართავ ტერიტორიებად. ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისთვის მიუღებელია რუსეთის ფედერაციული მოწყობა, რომელიც მისთვის დამღუპველი იქნებოდა ძლევამოსილი მფლობელობის თვალსაზრისით.

საგზაო კომუნიკაციების სრულყოფის გეგმა

სემიონოვ-ტიან-შანსკი აღნიშნავდა, რომ კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა რუსეთის იმპერიაზე უფრო დიდი უწყვეტი ტერიტორიის მქონე სახელმწიფო და არასოდეს ასეთ დიდი ოდენობით მოსახლეობას არ უცხოვრია ჩრდილოეთის განედებში. ამიტომ რუსეთს სჭირდება დიდი საგზაო მაგისტრალების მშენებლობა და სრულყოფა. სემიონოვ-ტიან-შანსკი სწუხს, რომ ახალი მაგისტრალების პროექტების განხილვას ჩამოცილებული არიან მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები.

რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რკინიგზებს და სემიონოვ-ტიან-შანსკი მოუწოდებს ააგონ სრულყოფილი სარკინიგზო გზები და არა ვიწროლიანდაგიანი ანდა შემსუბუქებული ტიპის განიერლიანდაგიანი. ასევე საჭიროდ მიაჩნია შემუშავებული ყოფილიყო რკინიგზების მშენებლობის გეგმა. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს მათ შესაძლო გაგრძელებებს რუსეთის იმპერიის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, მოსკოვი-ოდესას რკინიგზის აგების შემდეგ შეიძლება მისი მიყვანა იზმაილამდე და იქიდან დობრუჯისა და ბულგარეთის გავლით პირდაპირ დაუკავშირდება სტამბულს და ათენს.

სამხრეთ-დასავლეთში დასავლეთისა და ცენტრალური მაგისტრალების გაყვანა ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად განამტკიცებს რუსეთის პიზიციებს სპარსეთის მიმართ, მცირე აზიაში და ა.შ.

სემიონოვ-ტიან-შანსკის საჭიროდ მიაჩნია ევროპული რუსეთის სარკინიგზო მაგისტრალების აღმოსავლეთისკენ გაგრძელება ჯერ ვოლგამდე და მერე იმის იქით. რადგანაც რუსეთის კოლონიზაციური სარტყელი წყნარი ოკეანის მიმართულებით ვიწრო, ძალიან

გაჭიმული და დავიწროებადია, საჭიროდ მიაჩნია იქ სამი მაგისტრალის გაყვანა: 1. საშუალო, უკვე არსებული, ციმბირის დიდი რკინიგზის სახით; 2. უფრო მოკლე სამხრეთის, რომელიც დაიწყებოდა სარატოვიდან და რაც შეიძლება შორს, აღმოსავლეთით შეუერთდებოდა შუა მაგისტრალს; 3. ჩრდილოეთის მაგისტრალი, ტობოლსკი-ტომსკი-ენისეისკი, ბაიკალის ზედა ბოლოსკენ, შემდეგ ამურის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილში, ამურის ნიკოლაევსკისაკენ.

ანთროპოლოგიური ხედვა გეოგრაფიულ დეტემინიზმში

გეოგრაფიული გარემო, სემიონოვ-ტიან-შანსკის აზრით, ხალ-ხებს ყოფს უფრო ამტანად და ნაკლებად ამტანად, მომთაბარე და ბი-ნადარ ხალხებად. ბინადარი ხალხები უფრო უფრთხილდებოდნენ თავიანთი ხელით დამუშავებულ მიწის ნაკვეთებს და საცხოვრებლებს, ვიდრე მომთაბარეები. აქედან განვითარდა განსაკუთრებით ღრმა პატრიოტიზმის გრძნობა, რომელმაც შექმნა ყველა მტკიცე პოლიტიკური ძლიერება. მომთაბარეებში და ბინადარ ცხოვრებაზე გადასულ მათ შთამომავლებში გრძნობა მიწის გარკვეული მონაკვეთების მიმართ ყოველთვის უფრო სუსტია და ამიტომ ნაკლებად უფრთხილდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს. სემიონოვ-ტიან-შანსკი აღნიშნავს, რომ მომთაბარეებმა, რადგანაც არ გააჩნიათ ინტენსიური პატრიოტული გრძნობა, ვერ შექმნეს განსაკუთრებით ხანგრძლივი და მტკიცე პოლიტიკური ძლიერება. პატრიოტიზმის გრძნობის ნაცვლად, მათში ვლინდებოდა ეკონომიური გაჭირვების მწვავე შეგრძნება, რასაც სხვა ხალხებზე მომთაბარეთა შემოსევები მოსდევდა, ანდა ფანატიზმი გარკვეული იდეების გავრცელებაში (არაბული ისლამი).

სემიონოვ-ტიან-შანსკიმ ტრადიცულ გეოგრაფიულ დეტემი-ნიზმში შეიტანა ანთროპოლოგიური ხედვა - ეს მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის ეკონომიკური საქმიანობა უმნიშვნელოვანესია სახელ-მწიფოს ტერიტორიის ფორმირებაში. ძლევამოსილი ტერიტორიული მფლობელობა ვ. პ. სემიონოვ-ტიან-შანსკისთვის იყო ტერიტორიის

განვითარებაზე ბუნებრივი, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების ზემოქმედების შედეგი.

ძირითადი გეოპოლიტიკური ნაშრომები

- О могущественном территориальном владении применительно к России. Очерк политической географии, 1915
- Район и страна, 1928

6. ალექსეი ვანდამი (ედრიხინი): შეტევა სამხრეთისაკენ

სემიონოვ-ტიან-შანსკის მოსაზრებებს "ზღიდან ზღვამდე" რუსეთის გეოპოლიტიკური კონტროლის განსაკუთრებული სისტემის შექმნის შესახებ იზიარებდა ალექსეი ეფიმის ძე ვანდამი (ა. ედრიხინი, 1867-1933), ცნობილი რუსი გეოპოლიტიკოსი, გენერალ-მაიორი, მთარგმნელი და პუბლიცისტი.

ბიოგრაფიული მონაცემები

ალექსეი ვანდამი დაიბადა ჯარისკაც ეფიმ ედრიხინის ოჯახში. დაამთავრა იუნკერთა სასწავლებელი და 1894 წელს მიიღო პორუჩიკის წოდება. 1899 წელს დაამთავრა გენერალური შტაბის ნიკოლაევის აკადემიის ორი კურსი. მის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მივლინებამ ტრანსვალში, სადაც ინგლის-ბურების ომში მონაწილეობდა. ის იყო სამხედრო კორესპონდენტიც და იბრძოდა ბურების მხარეზეც. ედრიხინი იყო გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ სამხდრო კორესპონდენტი, სადაც ქვეყნდებოდა მისი „წერილები ტრანსვაალის შესახებ“ ა.ვანდამის ფსევდონიმით.[32] ფრონტზე მან, ჯანმრთელობის

[32] ამ ფსევდონიმის წარმოშობა ერთი ვერსიით უკავშირდება ნაპოლეონის გენერლის ჟ.დ.ვანდამის სახელს, მეორე ვერსიის თანახმად, რომელიც უფრო და-

მდგომარეობის გამო მხოლოდ ორი თვე დაჰყო, თუმცა რუსეთის სარდლობის ყურადღება მიიქცია. 1907 წელს მან ედრიხინის გვარი ოფიციალურად შეიცვალა ვანდამის გვარით.

1910-1913 წლებში ვანდამი სამხედრო სამსახურიდან თადარიგში გავიდა. ამ პერიოდში მან დაწერა ორი გეოპოლიტიკური ნაშრომი, რომლებშიც მკვეთრად აკრიტიკებდა დიდ ბრიტანეთს, რუსეთის იმდროინდელ მოკავშირეს ანტანტაში: „ჩვენი მდგომარეობა“ (1912) და "უმაღლესი ხელოვნებათა შორის: თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვა უმაღლესი სტრატეგიის შუქზე" (1913). პირველ მსოფლიო ომში და სამოქალაქო ომის დასაწყისში (1919 წლამდე) მონაწილეობის შემდეგ ვანდამი ცხოვრობდა ესტონეთში ემიგრანტის სტატუსით.

ვანდამმა თავის გეოპოლიტიკურ ნაშრომებში საფუძველი ჩაუყარა სამხედრო-სტრატეგიულ მიმართულებას გეოპოლიტიკის რუსულ სკოლაში. თუმცა, ეს ნაშრომები დიდი ხნით დავიწყებას მიეცა და რუსეთში მხოლოდ 21-ე საუკუნის დასაწყისში „ხელახლა აღმოაჩინეს“ და ზედიზედ გამოიცა 2002 და 2004 წლებში. ვანდამი ითვლება გეოპოლიტიკის რუსული სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

გეოპოლიტიკური კონცეფციის ამოსავალი პრინციპები

ვანდამი ცდილობს წარმოაჩინოს საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოთა მოქმედების ლოგიკა და სისტემა, რაც ნაკარნახევია მუდმივი საბაზისო ნაციონალური ინტერესებით. პირველ რიგში ისტორიული მიმოხილვის მეთოდის გამოყენებით, ვანდამი ცდილობს განსაზღვროს რუსეთის სახელმწიფოს მიზნები და ამოცანები, ასევე წარმოაჩინოს ის ძალები, რომლებიც ამ ინტერესების განხორციელებას ეწინააღმდეგებიან.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანდამის ნაშრომებს ანიჭებს ავტორის მისწრაფება განსაზღვროს უმაღლესი გეოპოლიტიკური კა-

---

მაჯერებელი ჩანს, უკავშირდება ბურების ერთ-ერთი სამხედრო მეთაურის ვან დამის სახელს, რომელმაც თავი გამოიჩინა ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნინზომიერებები საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში. სახემწიფოთა ურთიერთკავშირი და დაპირისპირება ვანდამი ცდილობს ახსნას ევოლუციის კანონით, რომლის ძალითაც ისტორიულ პროცესში იმარჯვებს ძლიერი და იღუპება სუსტი.

„ომი სხვა არაფერია, თუ არა მოკლევადიანი აქტი სიცოცხლისათვის მიმდინარე განუწყვეტელ ბრძოლაში. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სიცოცხლისთვის ბრძოლაში აუცილებელია განსაკუთრებული ხელოვნება - უმაღლესი სტრატეგია ანუ პოლიტიკა.[33]

ერთი ხალხის სამხედრო-პოლიტიკურ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ექსპანსიას სხვა ხალხების წინააღმდეგ ვანდამი ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდა, ნებისმიერი ორგანიზმის ზრდისათვის დამახასიათებელ პროცესად. „იმის მსგავსად, როგორც ნორმალურად მზარდ ოჯახს არ შეუძლია სულ ერთი და იმავე მიწის ნაკვეთზე იარსებოს, ასევე ყოველ ნორმალურად მზარდ ხალხს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს წინაპართა მიერ დაკავებული ტერიტორიით და გამრავლებასთან ერთად, იძულებულია გამოვიდეს თავისი თავდაპირველი სამფლობელოების ფარგლებიდან“, - ამტკიცებდა ვანდამი.

საერთაშორისო ურთიერთობების გეოსტრატეგიული ანალიზი

ვანდამისთვის ამოსავალია გეოგრაფიული ფაქტორი - სახელმწიფოს მდებარეობა მსოფლიოს რუქაზე, რამდენად უზრუნველყოფილია ის რესურსებით, როგორია კლიმატური პირობები და ა.შ. ფაქტობრივად, რუსი ავტორებიდან ვანდამი პირველია, რომელმაც გამოიყენა საერთაშორისო ურთიერთობების გეოსტრატეგიული ანალიზი.

„თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით რუსი ხალხი განწირულია ჩაკეტილი, ღარიბი, ამის შედეგად კი არადამაკმაყოფილებელი არსებობისთვის. მისი დაუკმაყოფილებლობა გამოიხატება ხალხის მასებში არსებული ინსტინქტური მისწრაფებით „მზისა და თბილი

[33] Вандам А.Е. Наше положение. Геополитика и геостратегия. М., 2002. С.29.

წყლებისკენ“, რაც არასოდეს სუსტდება, ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, სრულიად ნათლად განსაზღვრა რუსეთის სახელმწიფოს მდგომარეობა სიცოცხლისთვის ბრძოლის თეატრზე... ჩრდილოეთის დიდ სახელმწიფოს აქვს... მხოლოდ ერთი ფრონტი, მიმართული სამხრეთისკენ და გადაჭიმულია დუნაის შესართავიდან კამჩატკამდე“.[34] სწორედ „სიცოცხლისთვის ბრძოლის ამ ფრონტზე“ რუსეთი შეეჯახა იმ ძალებს, რომელთა ინტერესებსაც ეწინააღმდეგებოდა რუსი ხალხის წინსვლა.

რუსეთის მიზანი

ვანდამი გეოგრაფიისა და ოთხი საუკუნის მანძილზე რუსი ხალხის ინსტინქტური მისწრაფების საფუძველზე განსაზღვრავს მის მიზანს. ვანდამის განცხადებით, თავად ბედი უბიძგებდა რუსეთს აღმოსავლეთისკენ. საუკუნეების მანძილზე შეგნებულად თუ შეუგნებლად მრავალი რუსი მოღვაწე ესწრაფვოდა ამ მიზნის რეალიზებას.

ვანდამი ამტკიცებდა, რომ „რუსეთის მდგომარეობა“ მას უბიძგებდა აღმოსავლეთისკენ, მაგრამ ეს შესაძლებლობა ვერ გაიგეს და ვერ გაიცნობიერეს რუსეთში „იმ მნიშვნელოვანი ისტირიული მომენტისათვის, როდესაც არენა იყო ჯერ კიდევ თავისუფალი“. ვანდამის თქმით, „რუსეთმა დაამთავრა რა შეტევა ციმბირის გავლით და ყვითელ ზღვაზე გასვლით, რუსეთს შეეძლო გამხდარიყო ისეთივე საზღვაო სახელმწიფოდ წყნარ ოკეანეზე, როგორიც გახდა ინგლისი ატლანტიკის ოკეანეში და აზიის ისეთივე მფარველი, როგორიც არიან აშშ-ის ანგლო-საქსები ამერიკის კონტინენტზე“.[35]

ვანდამი მოითხოვდა, რომ სწორად ყოფილიყო გაგებული რუსეთის სახელმწიფო ინტერესები და სწორად დახარჯულიყო მისი რესურსები ამ იმპერიული ამოცანების მისაღწევად. მისი თქმით, რუსეთი დიდი და ძლიერია, მისი მსგავსი რესურსები - მორალური და მატერიალური - მსოფლიოში სხვას არ გააჩნია და თუკი ისინი ორგანი-

[34] Вандам А.Е. Наше положение. Геополитика и геостратегия. М., 2002. С.31.
[35] Вандам А.Е. Наше положение. Геополитика и геостратегия. М., 2002. С.76.

ზებული იქნება თავისი მასის შესაბამისად, თუკი ამოცანები მკაფიოდ და ზუსტად განისაზღვრება, არმია და ფლოტი მზად იქნება ნებისმიერ დროს გამოვიდნენ რუსეთის სწორად გაგებული ინტერესების დასაცავად - რუსეთს არ ექნება საფუძველი იმისთვის, რომ მეზობლების ეშინოდეს.

ანგლო-საქსები - რუსეთის მოწინააღმდეგეები

ვანდამი რუსეთის ნაციონალური ინტერესების განსაზღვრისა და ამ ინტერესებისათვის რუსეთის მოქმედების განსაზღვრის შემდეგ, გადადის იმ სახელმწიფოების აღწერაზე, რომლებიც ისტორიულად და გეოგრაფიულად რუსეთის მოწინააღმდეგეებად გამოდიოდნენ. ვანდამი აანალიზებს რუსეთის მოწინააღმდეგე ძალების მოქმედების მოტივებს და აანალიზებს რუსეთის წარუმატებლობის მიზეზებს.

ვანდამი, ისევე როგორც მილიუტინი, XX საუკუნის დასაწყისში რუსი ერის მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგ ანგლო-საქსებს ხედავდა (ინგლისი და აშშ). ის ხაზს უსვავდა, რომ რუსი ხალხი მთავარი დაბრკოლებაა ანგლო-საქსების წინაშე მსოფლიო ბატონობის მოპოვების გზაზე. „მანილასთან ბრძოლაში აზიაში სამხრეთიდან შემოსული ანგლო-საქსები თავიანთ ქვემეხებს მიმართავდნენ უკვე დამარცხებული ესპანელების თავებს ზევით დიდი სლავური სახელმწიფოს წინააღმდეგ და იწყებდნენ ბრძოლას, რომელსაც XX საუკუნის შუახანებისთვის უნდა დამთავრდეს ანგლოსაქსური რასის გაბატონებით მთელ დედამიწაზე... რუსი ხალხი არის ანგლოსაქსების მთავარი მოწინააღმდეგე მსოფლიო ბატონობის გზაზე“.[36]

ვანდამი თვლიდა, რომ ანგლო-საქსები რუსეთის მიმართ ორ რამეს ესწრაფვიან:

1. გაანადგურონ რუსეთის სავაჭრო და სამხედრო ფლოტები და რაც შეიძლება მეტად დაასუსტონ, უკუაგდონ წყნარი ოკეანიდან ციმბირის სიღრმეში.

---

[36] Вандам А.Е. Наше положение. Геополитика и геостратегия. М., 2002. С.88.

2. შეეცადონ დაეუფლონ სამხრეთ აზიის მთელ სივრცეს ჩრდილოეთის განედის 30 გრადუსიდან 40 გრადუსამდე და ამ ბაზიდან თანდათანობით შეავიწროვონ რუსი ხალხი ჩრდილოეთისკენ. თავის ჩრდილოეთ განედებზე ჩაკეტილი რუსი ხალხი განწირული იქნება დაცემისა და ნელი კვდომისთვის.

პირველი ამოცანის შესრულება მოითხოვს მთავარი საზღვაო სახელმწიფოებისა და იმ პოლიტიკური ორგანიზაციების თანამშრომლობას, რომლებიც დაინტერესებული არიან რუსეთის დასუსტებით. რაც შეეხება მეორე ამოცანას, ინგლისმა თავის მთავარი ბაზიდან, ინდოეთიდან უნდა დაიკავოს ტიბეტი და ავღანეთი, ხოლო ჩინეთის, თურქეთის და სპარსეთის მიმართ გატარებული უნდა იქნას განსაკუთრებელუ ზომები.

ვანდამი განიხილავს ბრიტანეთის პოლიტიკის ფუძემდებლურ პრინციპებს, რაც მისი აზრით, სრულიად უცნობია რუსეთისთვის და რომელთა ფარული აზრიც მხოლოდ შემდგომში გამოვლინდება. ასეთ პრინციპებს მიეკუთვნება, მაგალითად, ცნობილი „The balance of power in Europe", რომელიც ას წელზე მეტხანს საფუძვლად ედო ევროპულ სახელმწიფოთა კავშირებს. ამ პრინციპის თანახმად, სანამ ევროპის სახელმწიფოები ორ ბანაკად იქნებიან გაყოფილი, ბრიტანეთის იმპერიას შეუძლია მშვიდად იყოს.

ვანდამის მტრული დამოკიდებულება ინგლისისა და აშშ-სადმი გამომდინარეობს 1900-იანი წლების ვითარებიდან. ვანდამის მიერ რუსეთის მთავარ ამოცანებად მიჩნეულ სამხრეთით „თბილი ზღვებისკენ" წინსვლას და აღმოსავლეთისკენ წყნარი ოკეანის სანაპიროებზე პოზიციების გამაგრებას სწორედ ინგლისი და აშშ ეწინააღმდეგებოდნენ.

წყნარი ოკეანისკენ რუსეთის წინსვლა, ანუ რუსეთის მიერ „აღმოსავლეთის იმპერიის" მშენებლობა ანგლო-საქსებმა იაპონელთა ხელით შეძლეს. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის შედეგად რუსეთმა დაკარგა პორტ-არტური, სამხრეთ სახალინი. „კორეას და ჩვენი შრომით და ფულით მოწყობილ მანჯურიას იაპონელები როგორც თავის საკუთრებას, ისე უყურებენ", - აღნიშნავს ვანდამი. მისი აზრით, იაპონელებმა ეს ანგლო-საქსი მრჩევლების მითითებით გააკეთეს. მათ

იაპონელების ყურადღება კორეისა და მანჯურიისკენ წარმართეს და იაპონელებიც ნებაყოფლობით გადაიქცნენ ჩრდილოეთის კარების დარაჯებად, რათა არ შეეშვათ რუსები აზიაში ამერიკელთა მისვლამდე.

რუსეთის სამხრეთისაკენ წინსვლის შესაჩერებლად კი ანგლო-საქსების გეგმით, ახლო აღმოსავლეთში შეიძლება შეიქმნას ძლიერი თანამედროვე სახელმწიფო. „წარმოვიდგინოთ ახლანდელი თურქული ქაოსის ნაცვლად მცირე აზეაში, სირიასა და მესოპოტამიაში მაღალცივილიზებული სახელმწიფო კარგად ორგანიზებული არმიითა და ფლოტით. ეს სახელმწიფო, გადაჭიმული კასპიის, შავ ზღვას, ხმელთაშუა ზღვას, წითელ ზღვას და სპარსეთის ყურეს შორის, მჭიდროდ ჩაკეტავდა იმ გასასვლელს, რომლითაც რუსეთს ჯერჯერობით ადვილად შეუძლია ინდოეთის ოკეანის მიღწევა. ასეთი სახელმწიფო ჯერ არ არსებობს, მაგრამ არ არსებობს მიზეზები, რომ ასეთი სახელმწიფო მომავალში არ გამოჩნდეს“, - აღნიშნავს ვანდამი. მისივე თქმით, ასეთი განახლების პროცესი გარედან უნდა დაიწყოს, რადგანაც თურქეთისა და ირანის მთავრობებმა საკმარისად გამოავლინეს თავიანთი უუნარობა.

ვანდამის აზრით, რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ანგლო-საქსებმა შეიძლება გამოიყენონ ებრაელების მიერ ორგანიზებული რევოლუციური პარტიები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ რუსეთის განად გურების შემდეგ შეიქმნება რიგი ახალი სახელმწიფოები, „საფრანგეთის რევოლუციისა და კარლ მარქსის პრინციპების შესაბამისად“.

ვანდამი მოკლედ აჯამებს რუსეთის წინააღმდეგ ანგლო-საქსების ბრძოლის შედეგებს XX საუკუნის დასაწყისისათვის. ყველაზე დიდი მარცხი რუსეთმა აღმოსავლეთში განიცადა. „თბილ და ღია ზღვაზე ძლივს გასული, რუსეთი დაუყოვნებლივ უკუაგდეს უკან. სიდიდით მესამე ფლოტი განადგურებულია. დიდი ციმბირის გზა ჩიხადაა გადაქცეული. იაპონელების მიერ კორეის, სამხრეთ მანჯურიის და კორეის დაპყრობის შემდეგ რუსეთს ღია ზღვაზე გასვლა მხოლოდ იაპონური დერეფნის გავლის შემდეგ შეუძლიათ.

რუსეთის გეოსტრატეგიის ძირითადი მიზანი

ანგლო-საქსების მთავარი სტრატეგიული ამოცანაა რუსეთის უკუგდება წყნარი ოკეანიდან, რუსეთის გამოდევნა აზიიდან. ამიტომ რუსეთის გეოსტრატეგიის მთავარი ამოცანაა თავისი აზიური საზღვრების გამაგრება, აღმოსავლეთ და სამხრეთის ზღვებზე მოპოვებული გასასვლელის დაცვა, რადგანაც საზღვაო საზღვრების გარეშე სივრცეზე კონტროლის რუსული გეოპოლიტიკური მოდელი აზრს კარგავს. ვანდამი, სემიონოვ-ტიან-შანსკის მსგავსად, შეშფოთებული იყო რუსეთის მხრიდან თავის აზიურ სამფლობელოებზე გეოპოლიტიკური კონტროლის ნაკლები სიმყარით.

ვერტიკალური კონტროლის მოდელი

სემიონოვ-ტიან-შანსკისგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს აკეთებდა რუსული კოლონიალიზაციის აღმოსავლეთის მიმართულებაზე, ვანდამი თვლიდა, რომ "ზღვიდან ზღვამდე" რუსული სისტემის განმტკიცება უნდა მოხდეს არა მარტო ჰორიზონტალზე _ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, არამედ ვერტიკალზეც _ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. რუსეთი, რომელიც დაშორებულია მსოფლიო სავაჭრო გზებისგან ე.ი. ზღვისაგან და მკაცრი კლიმატი აქვს, განწირულია სიღარიბისათვის და არ შეუძლია თავისი საქმიანი აქტივობის განვითარება. შედეგად ბუნების კანონებითა და რასობრივი ინსტინქტით რუსეთი მიისწრაფვის სამხრეთისკენ.

სივრცეზე ვერტიკალური კონტროლის მოდელი მან დაასაბუთა გეოპოლიტიკური მემკვიდრეობითობის იდეით, რისთვისაც მიმართავდა ევრაზიაში სივრცის ათვისების ისტორიას.

ვანდამი აღნიშნავდა, რომ რუსეთმა დაიკავა რა თათრეთის მდგომარეობა, მემკვიდრეობით მიიღო მისი დამოკიდებულებაც აზიის სამხრეთი ნაწილისადმი, უმთავრესად კი ჩინეთისა და ინდოეთისადმი. ამიტომ რუსეთმა უნდა გამოიყენოს ის გეოპოლიტიკური კაპიტალი, რომელიც უანდერძეს წინამორბედებმა.

ისტორიულ ფაქტებზე მითითებით, ვანდამი აღნიშნავდა, რომ მონღოლებს არაერთგზის დაუპყრიათ ჩინეთი, ხოლო თათრებს ინდოეთი. რუსმა გეოსტრატეგებმა, ვანდამის აზრით, უნდა გამოიყენონ ეს ფაქტები აზიის სივრცეზე ვერტიკალური კონტროლის მოდელის დასასაბუთებლად:

- მრავალი საუკუნის მანძილზე აზიაში ყველა გეოპოლიტიკური შეტევა ხორციელდებოდა ერთი მიმართულებით - ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ;

- ჩინეთი და ინდოეთი - მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი იმპერიები, ჩრდილოეთის ხალხების გეოპოლიტიკური გავლენის ქვეშ იყვნენ;

- ისტორიულად სამხრეთ აზიის ხალხები შეეჩვივნენ ჩრდილოეთიდან მოსულთა მორჩილებას, ამიტომ რუსეთს, რომელიც „გამარჯვებულია გამარჯვებულებზე“ და თანაც მაღალგანვითარებულ ტექნიკას ფლობს, შეუძლია თავისთვის სასურველ ნებისმიერ სტილში ააგოს ურთიერთობა სამხრეთ აზიაში.[37]

დამორჩილება სამხედრო დაპყრობის გარეშე

ვანდამი აღნიშნავდა, რომ ერთი ერის მიერ მეორის დაპყრობა და დამორჩილება შეიძლება მოხდეს მისი ტერიტორიის სამხედრო დაპყრობის გარეშე. დაპყრობილი ის ერიც იქნება, ვისი ბუნებრივი სიმდიდრეებიც უცხოელი მფლობელების ხელში გადავა. ამიტომ ის თავის გეოპოლიტიკურ სისტემაში ამკვიდრებს პრინციპს: "ბუნებრივი უფლება მიწაზე ეკუთვნის არა იმას, ვინც მასზე ზის, არამედ იმას, ვინც ამ მიწიდან სიმდიდრეს იღებს".

ვანდამის გეოპოლიტიკური ფილოსოფიის კიდევ ერთი აზრი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: "ცუდია ანგლო-საქსი მტრად გყავდეს, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ის მეგობრად გაგიხდეს". ანგლო-საქსებმა ევროპის მატერიკს შემოარტყეს მძლავრი სამხედრო ფლოტი და დაეფლნენ საზღვაო სივრცეებსა და კუნძულებს, მსოფ-

[37] Вандам А.Е. Наше положение. Геополитика и геостратегия. М., 2002. С.58-59.

ლიოს მთელ ბუნებრივ სიმდიდრეებს, თეთრი რასის ყველა სხვა ხალხებს კი მატერიკზე საკონცენტრაციო ბანაკი მოუწყეს. ვანდამის თქმით, ევროპელმა ხალხებმა უნდა გაიგონ, რომ საჭიროა სახმელეთო სახელმწიფოების კავშირის შექმნა ანგლო-საქსების დესპოტიზმის დასაძლევად.

რუსეთის სამხრეთული ფრონტი

ვანდამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა იმას, რომ მიუხედავად თავისი დიდი ტერიტორიისა, რუსი ხალხი, თეთრი რასის სხვა ხალხებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაშია: ძალზედ მკაცრი ჩრდილოური კლიმატი ბოჭავს მის საქმიანობას. ამიტომ არასოდეს შესუსტდება ამ ხალხის სწრაფვა "მზისა და თბილი წყლისკენ".

რუსეთის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ვანდამი აღნიშნავს, რომ ზურგით რუსეთი ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეს ეყრდნობა, მარჯვენა ფლანგით - ნახევრადჩაკეტილ ბალტიის ზღვას და გერმანიისა და ავსტრიის სამფლობელოებს, მარცხენა ფლანგით - ცურვისთვის ნაკლებად გამოსადეგ წყნარი ოკეანის ნაწილს. ამიტომ რუსეთს აქვს არა სამი (როგორს ეს ხშირად აღინიშნებოდა), არამედ მხოლოდ ერთი ფრონტი _ მიმართული სამხრეთისკენ, დაწყებული დუნაის შესართავიდან დამთავრებული კამჩატკით.

რადგანაც ამ ფრონტის ცენტრში მონღოლეთისა და აღმოსავლეთ თურქესტანის უდაბნოებია, რუსეთის შეტევა უნდა განხორციელდეს არა ამ ფრონტის მთელ ხაზზე, არამედ ფლანგებით, უპირატესად ცენტრთან ახლოს მდებარე მარჯვენა ფლანგით. შავი ზღვიდან და კავკასიიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ შეტევით და შუა აზიიდან სპარსეთის ყურისკენ შეტევით, წარმატების შემთხვევაში, რუსეთი გავიდოდა ყველაზე უდიდეს სავაჭრო გზაზე _ სუეცის გზაზე. მაგრამ რუსეთის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ შეესაბამება დასავლეთის ინტერესებს.[38]

---

[38] Вандам А.Е. Наше положение. Геополитика и геостратегия. М., 2002. С.30-31.

ვანდამი აღნიშნავს, რომ რუსეთის სამხრეთისკენ შეტევის გზაზე მდებარეობს ჩინეთი, სპარსეთი და მცირე აზია, რომელთა მოსახლეობის შემოქმედებითი უნარი გამოფიტულია. რუსეთს შეუძლია წვლილის შეტანა ამ ტერიტორიების განვითარებაში. მაგალითად, რკინიგზების მშენებლობა რუსი ინჟინრებისათვის საქმიანობის ფართო არეალად იქცეოდა, გამოაცოცხლებდა რუსულ მრეწველობას და რუს ხალხს უხვად მისცემდა საშუალებებს დამატებითი კვების და „ბუნებისაგან ნაბოძები მაღალი ფიზიკური და სულიერი თვისებების განსავითარებლად, რაც თავის მხრივ, მას ანგლოსაქსების კიდევ უფრო ძლიერ მეტოქედ აქცევდა“.

კონტინენტური სახელმწიფოს სტრატეგია

ვანდამი აღნიშნავდა, რომ რუსეთის სტრატეგია უნდა აიგოს კონტინენტური დიდი სახელმწიფოს პარადიგმით. თუკი ლორდი კერზონის მიერ ჩამოყალიბებული საზღვაო ძლიერების სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ არ დაუშვას ევროპის კონტინენტზე რომელიმე სახელმწიფოს დომინირება, კონტინენტური ძლიერების სტრატეგია უნდა ემყარებოდეს კონტინენტური კავშირების შექმნაზე. ანგლო-საქსთა ექსპანსიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად რუსეთმა უნდა შექმნას კოალიცია სახმელეთო სახელმწიფოებისა, რომელშიც საფრანგეთი და გერმანია უნდა შესულიყო. ვანდამი გერმანიაში ხედავდა რუსეთის ბუნებრივ კონტინენტურ მოკავშირეს, აღნიშნავდა რომ საერთოევროპული ომი სასარგებლო იქნება ინგლისისთვის და არა რუსეთისთვის.

ვანდამი აკრიტიკებდა რუსეთის მიერ XIX საუკუნეში გატარებულ ევროპულ პოლიტიკას, რომელმაც რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს უდიდესი ზიანი მიაყენა. რუსეთის მონაწილეობამ ევროპულ კოალიციებში ინგლისის მხარეზე, რომელიც ესწრაფვოდა საფრანგეთის დასუსტებას, გამოიწვია რუსეთისათვის არახელსაყრელი ძალთა თანაფარდობის ჩამოყალიბება კონტინენტზე.

ინგლისისათვის დახმარების გაწევით საფრანგეთის წინააღმდეგ, რუსეთმა ხელიდან გაუშვა დრო, როდესაც გაბედულად შეეძლო

გზა გაეკვალა სამხრეთის ზღვებისკენ. საფრანგეთის დასუსტებით კი ინგლისს შესაძლებლობა მიეცა რუსეთისთვის დაეპირისპირებინა მთელი კონტინენტური ევროპა და რუსეთის მარჯვენა ფლანგზე ზეწოლით ევროპა ეხმარეობდა ინგლისს რუსეთის მოქმედების პარალიზებაში დუნაის შესართავიდან ყვითელ ზღვამდე.

ვანდამი ვარაუდობდა იმასაც, რომ სამხრეთში იმდროინდელი სუსტი ოსმალეთის ნაცვლად ჩამოყალიბდებოდა ძლიერი ცივილიზებული სახელმწიფო, რომელიც შეაჩერებდა რუსეთის სამხრეთისკენ წინსვლას.

ვანდამმა ამხილა ა.მეჰენის გეგმა, რომელიც რუსეთს "ანაკონდას რკალით" ახრჩობდა, ცდილობდა რუსეთის უკუგდებას სამხრეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ზღვებიდან, რასაც რუსეთის დაცემა და ნელი კვდომა მოჰყვებოდა. რუსეთი უნდა ჩამოყალიბდეს კონტინენტურ სახელმწიფოდ, რომელიც საზღვაო ძალას დაუპირისპირდება. რუსეთის ბუნებრივი კონტინენტური მოკავშირის სახით ვანდამი ხედავდა გერმანიას და საფრანგეთს.

7. ივან დუსინსკი: იმპერიული ორიენტაციები

გეოპოლიტიკური ხასიათის ნაშრომად მიიჩნევა ოდესელი რუსი პუბლიცისტის ივან დუსინსკის (1879-1919) ნაშრომი "რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხები ჩვენი სამხედრო-საზღვაო პოლიტიკის პროგრამასთან დაკავშირებით". ეს ნაშრომი ნაწყვეტებად იბეჭდებოდა 1908-1910 წლებში ოდესაში გამომავალ გაზეთში "რუსკაია რეჩ"-ში და ცალკე წიგნადაც გამოიცა ოდესაში 1910 წელს. დუსინსკის აღნიშნული ნაშრომი 2003 წელს ხელახლა გამოიცა სხვა სახელწოდებით "რუსეთის გეოპოლიტიკა (იმპერიული ცნობიერების გზები)".

დუსინსკი - ბიოგრაფიული ცნობები

ივან ივანეს ძე დუსინსკის ბიოგრაფია ნაკლებადაა ცნობილი. დაიბადა ხარკოვში 1879 წელს, 1899 წელს შევიდა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. თანამშრომლობდა ოდესის გაზეთ „რუსკაია რეჩ“-თან, სადაც დაიბეჭდა მისი ზემოთ ნახსენები ნაშრომი.

პირველი მსოფლიო ომის წლებში დუსინსკი გამოდიოდა სლავების გაერთიანების მოწოდებებით, ცნობილია მისი 1915 წლის მიმართვა სლავებისადმი.

1919 წელს დუსინსკი მუშაობდა ნოვოროსიის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარად. 1919 წლის ზაფხულში ოდესის ჩეკამ დუსინსკი დააპატიმრა როგორც „რეაქციონერი“ და „მონარქისტი“. დუსინსკი სასამართლოს გარეშე დახვრიტეს.

მ. სმოლინი, რომელმაც დუსინსკის ტექსტებს თავი მოუყარა და ხელახლა გამოსცა, მას დავიწყებულ რუს მოაზროვნეებს მიაკუთვნებს, რომლებიც 1917 წლის რევოლუციის წინ კონტინენტური, იმპერიული ცნობიერების აღორძინებისთვის იღწვოდნენ. მათ მოღვაწეობას რუსული გეოპოლიტიკის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მათი ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა ბოლშევიკების გაბატონების გამო.

დუსინსკი - კონტინენტური გეოპოლიტიკის წარმომადგენელი

ივან დუსინსკი რუს ავტორთა შორის ერთ-ერთი პირველი მიუთითებდა რუსეთის პრინციპულ კონტინენტურ ხასიათზე, მოუწოდებდა, რომ უარი ეთქვათ დასავლურ პოლიტიკაში ძალიან აქტიურ მონაწილეობაზე და კონცენტრირებულიყვნენ სხვა პრობლემებზე. დუსინსკი აღნიშნავდა, რომ რუსეთი პირველ რიგში სახმელეთო სახელმწიფო იყო, რომელსაც არ ქონდა ზღვის იქითა კოლონიები და შესაბამისად, უმნიშვნელო იყო მისი საზღვაო ვაჭრობა და მცირე კომერციული ფლოტი. ასეთ პირობებში სასაცილოდ გამოიყურებოდა მისწრაფება სათავეში ჩადგომოდნენ საზღვაო ჰეგემონიისთვის მებრ-

ძოლ სახელმწიფოთა რომელიმე ჯგუფს. დუსინსკის აზრით, ეს არ ნიშნავდა, რომ რუსეთის ძლიერ სახელმწიფოს ზურგი უნდა შეექცია ზღვასა და ფლოტისთვის, არ უნდა დაინტერესებულიყო ამით. დუსინსკის თქმით, ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის მონაწილეობა ამა თუ იმ საერთაშორისო კომბინაციაში პირველ რიგში რუსული მიზნებიდან უნდა გამომდინარეობდეს და რომელიმე მხარის მხარდაჭერასთან ერთად საკუთარ მიზნების მიღწევაზე უნდა ემუშავა.

დუსინსკისთან ვხვდებით კონტინენტური გეოპოლიტიკის სხვა ცენტრალურ თემებს - "ავტარქიის" (ეკონომიკური დამოუკიდებლობის, თვითკმარობის) პრინციპს და "საზღვრების ცვლილების" პრინციპს.

რუსეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ამოცანები

ავტარქიის იდეას დუსინსკი შემდეგნაირად ანვითარებდა: რუსეთის სამრეწველო ჩამორჩენისა და უზარმაზარი შიდა ბაზრის პირობებში გარეშე ბაზრების მოთხოვნილება დაბალია და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება სავსებით შესაძლებელია მშვიდობიანი გზით, ტერიტორიული დაპყრობების გარეშე. თუმცა ეს არ გამორიცხავდა რუსეთის იმპერიის ტერიტორიულ გაფართოებაზე ზრუნვას.

რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებით დუსინსკი აღნიშნავდა: რუსეთის საგარეო პოლიტიკა, მთლიანობაში, მშვიდობიანია და ამჯობინებს დიპლომატიის გზას, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შეუძლია თავდავიწყებით იყოს გატაცებული "სტატუს ქვოს" დოქტრინით და აუცილებლობის ფარგლებში, შეგნებულად უნდა, ესწრაფვოდეს რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად პოლიტიკური რუქის შეცვლას როგორც ევროპაში, ისე აზიაში.

სტრატეგიული თვალსაზრისით დუსინსკი საჭიროდ მიიჩნევდა, რომ რუსეთს უზრუნველეყო ოკეანეებზე გასასვლელი, რათა დაეცვა თავისი უფლება მსოფლიო პოლიტიკაში აქტიური როლის შესრულებაზე.

ს. ბაბურინი შემდეგნაირად აყალიბებს დუსინსკის მიერ განსაზღვრულ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანებს:

1.რუსეთის აზიურ საზღვრებთან მდებარე თავისუფალი და ნახევრად თავისუფალი ტერიტორიების დაკავება;

2.რუსეთის სახელმწიფოს ჰქონდეს რაც შეიძლება უფრო მოსახერხებელი ბუნებრივი საზღვრები;

3. შენარჩუნებული და სათანადოდ გამოყენებული იქნას ოკეანეზე გასასვლელები და მტკიცე თავდაცვითი პოზიციების დაკავება მატერიკში შეჭრილ შიდა ზღვებში. ხმელეთის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა ზღვაზე გაბატონებული ძალების მხრიდან.

4. მეზობლები ან მიბმული უნდა იქნან რუსეთზე სრული ნდობისა და მდგრადი მეგობრობის მეშვეობით, ანდა უნდა მოხდეს მათი გაუვნებლობა სამხედრო ზემოქმედებით. სამხედრო ზემოქმედება მიზნად ისახავს რუსეთისადმი მტრული ძალების მნიშვნელოვან დასუსტებას, ან სრულ განადგურებას. ანდა მტრული ძალების მოქმედების გადატანას სხვა რუსეთისათვის არამნიშვნელოვანი მიმართულებით.

5. ავტარქიასთან სწრაფი და სრული მიახლოება რუსეთის მეურნეობის „უცხოელთა ექსპლუატაციისგან“ განთავისუფლების გზით და ასევე რუსეთისადმი მთელი შავი ზღვის აუზის დაქვემდებარებით, იმსვდროულად სრულიად სლავური საბაჟო კავშირის შექმნით.[39]

სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდის სახეები

დუსინსკიმ გამოყო ხუთი ძირითადი მიზანი, რის გამოც ხდება სახელმწიფოების ტერიტორიული ზრდა:

1.ტერიტორისს „უმიზნო“ გაფართოება - სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდა რაიმე გარკვეული მიზნის გარეშე, უბრალოდ სახელმწიფო იყენებს შესაძლებლობას სამხედრო ან მშვიდობიანი გზით

[39] С.Н. Бабурин. Императив выживания нации - http://vsezaros.ru/about/ideologiya/item/212-imperativ-vyzhivaniya-natsii.html

შეიძინოს ახალი ტერიტორია, გამომდინარე სურვილიდან - გახდეს უფრო მნიშვნელოვანი, ძლიერი და მდიდარი. ასეთი იყო დიდი ხნის განმავლობაში ევროპული ქვეყნების კოლონიური პოლიტიკა, მაგრამ, დუსინსკის თქმით, 1900-იანი წლებისათვის ასეთი პოლიტიკა უკვე წარსულს ბარდებოდა და ადგილს უთმობდა ტერიტორიული გაფართოების სხვა, უფრო „შეგნებულად მოტივირებულ“ სახეობებს, რომლებიც ამართლებენ ომის დიდ დანახარჯებს. გარდა ამისა, ამგვარი გაფართოება საზიანოა იმითაც, რომ სახელმწიფოში აქცევს სხვა ეთნოსების („ინოროდცების“) რაოდენობას, რაც ხელს არ უწყობს სახელმწიფოს სიმტკიცეს.

2. ტერიტორიის გაფართოება იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ამ ტერიტორიის დაპყრობა სხვა სახელმწიფოს მიერ. ამგვარი ტერიტორიული ზრდა ემსახურება მომავალში საკუთარი მოსახლეობის განსახლების არეალის მოპოვებას ანდა მეზობელი სახელმწიფოს გაძლიერებისთვის ხელის შეშლას. შენაძენების ამ კატეგორიას მიეკუთვნება პირველ რიგში ვრცელი და მცირედ დასახლებული ტერიტორიების შეერთება, რათა ის ხელში არ ჩაიგდოს საშიშმა მეზობელმა. ესაა „გამაფრთხილებელი“ დაპყრობა - შეძენის მომენტში ამ ტერიტორიას ზარალის მეტი არაფერი მოაქვს. ეს სახელმწიფოს მომავალი ინტერესების თავისებური დაზღვევაა.

3. ტერიტორიის გაფართოება ეროვნული მიზნების გულისთვის, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. ამ კატეგორიას დუსინსკი მიაკუთვნებს ერთიან ეროვნულ ორგანიზმთან ერის იმ ნაწილების გაერთიანებასმ რომლებიც სხვადასხვა მიზეზით თავისი ეროვნული სახელმწიფოს გარეთ აღმოჩნდა. ასეთი შენაძენი განამტკიცებს სახელმწიფო ორგანიზმს. დუსინსკის თქმით, ასეთი ტერიტორიული ზრდა თანამედროვე პერიოდში ხშირად ხდება, ამ მიმართულებით გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და „მომავალშიც ეს კატეგორია მსოფლიოს პოლიტიკური რუკის შეცვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იქნება“.

4. ტერიტორიის გაფართოება სპეციალური, მკაცრად განსაზღვრული მიზნების გულისათვის. დუსინსკის თქმით, დღევანდელ სახელმწიფოებს არცთუ იშვიათად აქვთ ძალზედ უცნაური

და ირაციონალური საზღვრები. ამიტომ მათთვის ხშირად უაღრესად მნიშვნელოვანია ამ საზღვრების შეცვლა - გაასწოროს, გადაწიოს, რათა მიაღწიოს ბუნებრივ საზღვრებს, გავიდეს ზღვაზე, უზრუნველყოს სტრატეგიული ხაზი, დაიკავოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პუნქტები და ა.შ.

5. ტერიტორიის გაფართოება გასაღების ბაზრების მოსაპოვებლად და მტკიცედ უზრუნველსაყოფად. ამგვარი გაფართოება განსაკუთრებით აქტუალური გახდა ცივილიზებული ხალხების სამრეწველო განვითარების შედეგად, თუმცა, დუსინსკის თქმით, გასაღების ბაზრების მოსაპოვებლად უმრავლეს შემთხვევაში აუცილებელი არაა პოლიტიკური დაპყრობა.

რუსეთის „ტერიტორიული განვითარების“ შესახებ

დუსინსკი ხაზს უსვავდა გეოპოლიტიკური ექსპანსიის მნიშვნელობას და იმპერიულ მასშტაბს რუსეთის ორგანული და გაწონასწორებული განვითარებისათვის. დუსინსკის თქმით, ზრდის შეწყვეტა ვადაზე ადრე მტკივნეული მოვლენა იქნებოდა და საბოლოო ჯამში „მოსალოდნელი მშვენიერი ვაჟკაცი გოლიათის ნაცვლად მსოფლიოს დიდი მახინჯი მოევლინებოდა”.

დუსინსკის თქმით, „რუსეთის ტერიტორიული განვითარება“ ჯერ არ იყო დამთავრებული და „აუცილებელია რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიის გარკვეული გაფართოება“. ეს გაფართოება უნდა ყოფილიყო სავსებით შეგნებული და გამომდინარეობდეს სურვილიდან დამთავრებულიყო „წინაპრების მიერ დაწყებული სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმე“.

დუსინსკი გამორიცხავდა „რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიის მოუწესრიგებელ ზრდას“. მისი განცხადებით, პირველ რიგში აუცილებელი იყო „რუსეთის სახელმწიფოს ეროვნული ხასიათის“ შენარჩუნება. მჭიდროდ დასახლებული მიწების იმპერიასთან შეერთება კიდევ უფრო გაზრდიდა „ინოროდცების“[40] ოდენობას რუსეთის

[40] ასე უწოდებდნენ ქედმაღლურად არარუსებს რუსეთის იმპერიაში

იმპერიაში. რაც უფრო მეტია სახელმწიფოში „ინოროდცების“ ოდენობა, მით უფრო ნაკლებად მტკიცეა სახელმწიფო. დუსინსკი იმოწმებდა დ. ი. მენდელეევს, რომლის გამოთვლითაც არარუსების[41] რაოდენობა რუსეთის იმპერიაში 34,4%-ს შეადგენდა. დუსინსკის აზრით, ვითარებას კიდევ აუარესებდა ის გარემოება, რომ ამ ციფრში არ შედიან „მალოროსები“, რომლებიც ცდილობენ „რუსი ხალხისგან“ ჩამოცილებას და იმ პოლიტიკური პარტიების წევრები, რომლებსაც „სძულთ რუსეთის სახელმწიფო“. დუსინსკის თქმით, „ინოროდცების ყოველი ახალი მილიონი“ რუსეთის იმპერიაში „ნამდვილი უბედურებაა სახელმწიფოსთვის“, რადგანაც „აფერმკრთალებს მის ნაციონალურ ხასიათს“. ამიტომ უცხოტომელებით დასახლებული ტერიტორიების შეერთება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამით ხდება „ტერიტორიული სრულყოფილებისათვის“ მნიშვნელოვანი მიწების შეერთება.

დუსინკის დამაჯერებლად არ მიაჩნდა მოსაზრება, რომ მოხერხდება „ინოროდცების“ გარუსება. მისი თქმით, უმცირესობებში კულტურის გავრცელებასთან ერთად იზრდებოდა მათი ეროვნული ცნობიერება და ასიმილაციის პროცესი მკვეთრად შენელდა. გარდა ამისა, მისი თქმით, „რუსული ორგანიზმი ისედაც გაჯერებულია არარუსული ელემენტებით“ და შემდგომი ასიმილაციის პოლიტიკა შეიძლება სახიფათო იყოს.

დუსინსკის თქმით, დაუფიქრებელ ტერიტორიულ შენაძენებს ისიც შეიძლება მოჰყოლოდა, რომ ზოგიერთი მიმართულებით სახელმწიფოს საზღვრები ბუნებრივ მიმართულებას შეიძლება გადასცილდეს, მაშინ როდესაც სხვაგან საზღვარი ბუნებრივ მიჯნასთან მიახლოებულიც კი არ არის. ეს კიდევ უფრო გაზრდიდა რუსეთის სასაზღვრო ხაზს და გააძნელებდა მის დაცვას.

ამ ორი მიზეზის გამო „დაპყრობების სტიქიური პოლიტიკა გადაჭრით უნდა უარყოფილი იქნას“. დუსინსკი ასევე გამორიცხავდა

---

[41] დ. მენდელეევიც და ი. დუსინსკიც რუსების შემადგენლობაში მოიაზრებდნენ ბელორუსებს და მალორუსებს (უკრაინელებს) და მათ ცალკე ხალხებად არ განიხილავდნენ.

დაპყრობით პოლიტიკას გასაღების ბაზრების მოპოვების დროშით. რუსეთს ისედაც დიდი შიდა ბაზარი ჰქონდა, მრეწველობა კი სუსტი.

ტერიტორიული შენაძენების დანარჩენი სამი ზემოთდასახელებული მოტივი დუსინსკის მისაღებად მიაჩნდაა, რაც იქნებოდა რუსეთის სახელმწიფოებრივი ტერიტორიის განვითარების უკანასკნელი, დასკვნითი ეტაპი.

დუსინსკის თქმით, რუსეთი უნდა ესწრაფოდეს არა *status quo*-ს შენარჩუნებას, არამედ პოლიტიკური რუქის შეცვლას როგორც ევროპაში, ისე აზიაში. რუსეთის საგარეო პოლიტიკა კი უნდა იყოს როგორც ეროვნული (რუსული), ისე ტომობრივი (სლავური).

რუსეთის სლავური პოლიტიკა

„სლავურ პოლიტიკაში“ დუსინსკი გულისხმობდა ურთიერთობას სხვა სლავ ხალხებთან, როგორც სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის მქონეებთან, ისე სხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში მყოფებთან. სლავური პოლიტიკა მიზნად ისახავდა სლავი ხალხების გაერთიანებას და რუსულ-სლავური ფედერაციული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

დუსინსკის თქმით, სლავების პოლიტიკური გაერთიანებისკენ სწრაფვისას რუსეთმა უნდა იმოქმედოს არა მხოლოდ თავისი ეროვნული სარგებლის, არამედ ყველა სლავი ხალხის ეროვნული ინტერესების შესაბამისად. ამით პანსლავიზმი ყველა სლავი ხალხის იდეალი გახდება.

დუსინსკის აზრით, განუხორციელებელი იყო სლავების გარუსების პოლიტიკა, კერძოდ დოქტრინა „რუსულ ზღვაში“ ჩამდინარე „სლავური ნაკადულების“ შესახებ. ეს დოქტრინა საფუძვლად ვერ დაედება სლავურ პოლიტიკას. „რუსულ ზღვაში“ სლავების ძალით ჩართვა ძირს გამოუთხრიდა პანსლავიზმის იდეას. რუსეთის სახელმწიფოს შიგნით მოქმედი გარუსების პრინციპი არ უნდა გადაეტანათ საერთაშორისო არენაზე.

რა სარგებელს მიიღებდა რუსეთი პანსლავიზმის პოლიტიკის გატარებით? დუსინსკის თქმით, სლავების გაერთიანება რუსეთის

გარშემო კიდევ უფრო გააძლიერებდა რუსეთს, რომელსაც სამი დიდი მტერი ჰყავდა: აღმოსავლეთში იაპონია, სამხრეთით ისლამი და დასავლეთით გერმანია. რუსეთი მოკავშირე საფრანგეთის და გაერთიანებული სლავებით გაანეიტრალებდა გერმანიას, თვითონ კი ადვილად შეძლებდა აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მომდინარე საფრთხის განეიტრალებას.

რუსულ-სლავური ფედერაციული სახელმწიფოს პერსპექტივა

დუსინსკის თქმით, რუსეთის სლავური პოლიტიკის იდეალი და მუდმივი მიზანია „პანსლავური დერჟავის“ შექმნა, რაც გულისხმობდა რუსული ეროვნული სახელმწიფოდან „ტომობრივ სლავურ სახელმწიფოზე“ გადასვლას. ეს იქნებოდა „დიდი რუსეთი“, სრულიად სლავური იმპერიალიზმის მატარებელი. მისი აზრით, ასეთ „იმპერიალისტურ“ სახელმწიფო ერთეულზე გადასვლა შეესაბამებოდა „თანამედროვე ისტორიის“ მდინარებას (ბრიტანეთის იმპერია, პანისლამიზმი, პანამერიკანიზმი, პანმონღოლიზმი) და ეროვნული სახელმწიფოები გადადიოდნენ ამ ახალ სტადიაზე.

დუსინსკის განცხადებით, სლავური სამყაროს გაერთიანება იქნება არა სახელმწიფოთა კავშირი, არამედ ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფო, „რუსულ-სლავური დერჟავა“. ეს ფედერაცია დუსინსკის აზრით, უნდა მოეწყოს გერმანიის იმპერიის ნიმუშის მიხედვით, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფოებს. ანუ რუსულ-სლავურ სახელმწიფოში უნდა შევიდეს ავტონომიური ერთეულების სახით რუსეთი, ბულგარეთი, სერბეთი, ხორვატია და ა. შ.

სრულიად სლავური სახელმწიფოს საფუძველი უნდა ყოფილიყო ნაციონალური საწყისი, დამყარებული ნაციონალურ ფედერაციაზე. ამასთან ნაციონალური ფედერაცია მტკიცე იქნებოდა ერთი ცენტრის არსებობის პირობებში და ასეთი ცენტრის სახით წარმოდგებოდა რუსეთი.

რუსულ-სლავურ ფედერაციას უნდა ქონოდა ერთიანი სამხედრო და საზღვაო ორგანიზაცია, საბაჟო კავშირი, ერთიანი საგარეო

პოლიტიკა. მაგრამ სლავური ფედერაციის მთავარი გამაერთიანებელი ერთიანი სლავური ენა უნდა ყოფილიყო. დუსინსკი მიიჩნევდა, რომ ამ ენის სახით რუსული უნდა გამოსულიყო, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ სლავი ხალხების ნაწილი ამის სასტიკი წინააღმდეგი იქნებოდა.

დუსინსკის აზრით „რუსულ-სლავურ დერჟავაში“, მისი ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, ბევრი არასლავი ხალხიც უნდა შესულიყო: რუმინელები, ბერძნები, ალბანელები, მადიარები და, შესაძლოა, ავსტრიელი გერმანელებიც, თუკი ისინი ამას მოინდომებენ. დუსინსკის განცხადებით, კიევი და ცარგრადი ერთიანი სლავური სახელმწიფოს სიმბოლოებს წარმოადგენდნენ.

პოლონეთის საკითხი და ავსტროსლავიზმის საფრთხე

დუსინსკი დაწვრილებით განიხილავდა იმ მთავარ პრობლემასაც, რაც მისი აზრით, რუსეთის გარშემო სლავების გაერთიანებას ეღობებოდა. ეს იყო პოლონეთის საკითხი. ჯერ ერთი, პოლონელების გარუსების პოლიტიკა და მათი არცთუ სახარბიელო ეროვნული მდგომარეობა რუსეთის იმპერიაში სხვა სლავ ხალხებს რუსეთისაკენ სწრაფვის სურვილს უნელებდა და აფრთხობდა „რუსულ ზღვაში“ აღმოჩენის პერსპექტივით. მეორეც, ავსტრია-უნგრეთში მცხოვრებ პოლონელებში პოპულარული იყო ავსტროსლავიზმი და არა რუსეთის გარშემო პანსლავისტური გაერთიანება. ავსტროსლავიზმი დასავლეთი და სამხრეთ სლავების გაერთიანების იდეა იყო ჰაბსბურგების დინასტიის ეგიდით. დუსინსკის თქმით, ეს იდეა სლავ ხალხებს „გერმანული სამყაროს ვასალად“ აქცევდა.

დუსინსკი აცხადებდა, რომ ნაციონალური ავტონომიების და მათ შორის პოლონელებისათვის ავტონომიის მიცემა კატეგორიულად მიუღებელი იყო რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ მისი თქმით, ეს საკითხი სლავური პოლიტიკის ფარგლებში უნდა გადაწყვეტილიყო.

დუსინსკის აზრით, პოლონელების მიმართ გარუსების პოლიტიკა უნდა შეწყვეტილიყო და მათ ავტონომიის სტატუსს უნდა

შეპირებოდნენ, ოღონდ არა რუსეთის იმპერიის ფარგლებში, არამედ როდესაც რეალურად შეიქმნებოდა სრულიად სლავური სახელმწიფო. ამასთან მომავალ პოლონურ ავტონომიაში მოიაზრებდა მხოლოდ ეთნოგრაფიულად პოლონურ მიწებს, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ.

დუსინსკის თქმით, პოლონელების მიმართ პოლიტიკის შეცვლამ შეიძლება პოლონელებში პანსლავისტური ენთუზიაზმი არ გამოეწვია, მაგრამ ეს სხვა სლავ ხალხებს დააწყნარებდა.

დუსინსკი „პოლონური საკითხის“ ფარგლებში განიხილავდა „უკრაინელების“ პრობლემასაც. თუმცა, უკრაინელების არსებობას ის მხოლოდ ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში აღიარებდა და შემდეგნაირად ახასიათებდა: უკრაინელები არიან „რუსი ადამიანები, რომელთაც უღალატეს რუსულ იდეას“, უკრაინელები არიან არა ეთნოსი, არამედ „რუსი ხალხის მიმართ მტრულად განწყობილი პარტია“. დუსინსკი შესაძლებლად მიიჩნევდა პოლონელებისთვის მხარი დაუჭირათ გალიციაში მცხოვრები უკრაინელების გაპოლონელების პოლიტიკაშიც, იმ პირობით, რომ პოლონელებს პრეტენზია არ ექნებოდათ გალიციის დანარჩენ ნაწილზე.

ივან დუსინსკის გეოპოლიტიკური ნაშრომები

- Основные вопросы внешней политики России в связи с программой нашей военно-морской политики. Одесса, 1910.
- Геополитика России. М., 2003.

8. პირველი მსოფლიო ომი და რუსეთის ტერიტორიული პრეტენზიები

პირველ მსოფლიო ომში, რომლის სიმძიმესაც რომანოვების იმპერია შეეწირა, რუსეთს თავისი ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა, რომლის მიღებასაც ომში გამარჯვების შემდეგ ვარაუდობდა. ამის თაობაზე ის უკვე მოლაპარაკებული იყო თავის მოკავშირეებთან.

ევროპაში რუსეთი მიზნად ისახავდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ისე დასუსტებას, რომ მათ რუსეთისთვის მომავალში სამხედრო საფრთხე აღარ შეექმნათ. ტერიტორიული თვალსაზრისით რუსეთი პრეტენზიას აცხადებდა აღმოსავლეთ პრუსიაზე (გერმანიისგან) აღმოსავლეთ გალიციაზე (ავსტრია-უნგრეთისგან). ოსმალეთის იმპერიის ომში ჩართვამ რუსეთს კვლავ აღუძრა იმედები, რომ აისრულებდა „საუკუნოვან ოცნებას“ კონსტანტინეპოლისა და სრუტეების დაუფლების თაობაზე.

აღმოსავლეთ პრუსია და პოლონეთის საკითხი

მსოფლიო ომმა მწვავედ დააყენა პოლონეთის საკითხი. ანტანტის გამარჯვებისათვის მნიშვნელოვანი იყო გერმანიის ბლოკის მიერ დაპყრობილი სლავი ხალხების მხარდაჭერის მოპოვება. ამისათვის კი პირველ რიგში იმედი უნდა მიეცათ პოლონელებისთვის, რომლის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის მფლობელობაში იყო.

1914 წლის 1 აგვისტოს რუსეთის არმიის უმაღლესმა მთავარსარდალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ პოლონელებს მოწოდებით მიმართა, რომელშიც ჰპირდებოდა, რომ რუსეთის, გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის ხელში მოქცეული პოლონეთის სამი ნაწილისგან შეიქმნებოდა ერთიანი პოლონეთი.

რუსეთის საგარეო უწყებამ მიაღწია მოკავშირეთა თანხმობას, რომ უპირატესად პოლონელებით დასახლებული გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ოლქები - დასავლეთ გალიცია, სილეზია, პომერანია, აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიის ნაწილები და რუსეთის ხელში მყოფი დიდი პოლონეთი მოექცეოდა პოლონეთის ერთიანი

სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელსაც საერთო მონარქი (პირადი უნია) გააერთიანებდა რუსეთთან. თუმცა ასეთი სახელმწიფოს შექმნა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ იყო.[42]

1915 წელს რუსეთის მარცხმა და გერმანიის მიერ პოლონეთის ტერიტორიის სრულმა ოკუპაციამ დროებით შეაჩერა პოლონეთის საკითხის განხილვა რუსეთის მმართველ წრეებში. ზოგადად, რუსეთის მმართველი წრეები პოლონელებისთვის უფრო კონკრეტული დაპირებებისგან თავს იკავებდნენ და საკითხის გადაწყვეტას ომის დამთავრების შემდეგ აპირებდნენ. ომის დამთავრებას კი რომანოვების იმპერია ვერ მოესწრო.

აღმოსავლეთ პრუსიის დანარჩენი ნაწილის რუსეთის იმპერიასთან უშუალო შეერთებას ვარაუდობდნენ. ეს სურვილი გამოთქვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი საზონოვმა ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის მიწერილ წერილში 1914 წლის სექტემბერში. იმავე წლის ნოემბერში ნიკოლოზ II იგივე სურვილი გამოთქვა საფრანგეთის ელჩ მორის პალეოლოგთან საუბარში. იმპერატორმა მიუთითა რუსეთის გენერალური შტაბის სტრატეგიულ მოსაზრებებზე და გამოთქვა სურვილი, რომ რუსეთის ხელში უნდა გადასულიყო გერმანიის ტერიტორიები ვისლის აღმოსავლეთით. აღმოსავლეთ პრუსიიდან ვარაუდობდნენ გერმანელთა გასახლებას და იქ რუსი გლეხების დასახლებას, რომლებიც მიწის ნაკლებობას განიცდიდნენ.[43]

ავსტრია-უნგრეთში შემავალი უკრაინის დასავლეთ ნაწილის შეერთება

---

[42] История России. XX век. Том I. Москва: Издательство «Э», 2018, стр.417

[43] Василий Смирнов. Какой была бы территория России, если бы она не вышла из Первой мировой- https://hystory.mediasole.ru/kakoy_byla_by_territoriya_rossii_esli_by_ona_ne_vyshla_iz_pervoy_mirovoy

რუსეთის მთავრობისა და საზოგადოებისათვის უდავო იყო, რომ ომი ავსტრია-უნგრეთთან მის შემადგენლობაში მყოფი სლავი ხალხების გასათავისუფლებლად მიმდინარეობდა. ისიც იგულისხმებოდა, რომ „რუსებით დასახლებული ტერიტორიები“ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში უნდა მოქცეულიყო. რუსებად კი მაშინ მიიჩნეოდა უკრაინელებიც და ბელორუსებიც. ისინი ცალკე ერებად არ განიხილებოდნენ. ამ გეგმის შესრულებას რუსეთის მაშინვე შეუდგა, ისე რომ ომის დამთავრებას არ დალოდებია.

1914 წლის შემოდგომაზე, როდესაც რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ავსტრიის გალიციის აღმოსავლეთ ნაწილი, ანუ დასავლეთ უკრაინა, ეს ტერიტორია ფაქტობრივად შეუერთეს რუსეთის იმპერიას. იქ შეიქმნა გალიციის საგენერალ-გუბერნატორო დედაქალაქით ლვოვში. მასში შედიოდა 4 გუბერნია: ლვოვის, ტერნოპოლის, ჩერვოვიცკის და პერემიშლის. ვარაუდობდნენ, რომ ზაკარპატიე რუსის დაკავების შემდეგ იქ შეიქმნებოდა მეხუთე გუბერნია ცენტრით უნგვარში (უჟგოროდში). დასავლეთ უკრაინაში შემოიღეს რუსეთის იმპერიის კანონები.

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის შედეგად რუსეთი აპირებდა უშუალოდ შეეერთებინა ავსტრია-უნგრეთის უკრაინელებით დასახლებული მიწები. აღსანიშნავია, რომ ეს მიწები მაშინ უფრო მეტი იყო, ვიდრე უკრაინის დღევანდელი დასავლეთი საზღვარი. გალიციის დასავლეთი ნაწილი ქალაქი კრაკოვით, პოლონელებით დასახლებული, ვარაუდობდნენ, რომ ახალი პოლონეთის შემადგენლობაში შევიდოდა.[44]

[44] Василий Смирнов. Какой была бы территория России, если бы она не вышла из Первой мировой- https://hystory.mediasole.ru/kakoy_byla_by_territoriya_rossii_esli_by_ona_ne_vyshla_iz_pervoy_mirovoy

რუსეთის წილი ოსმალეთის იმპერიის დანაწილებიდან

ყირიმის ომის (1853-1856) დროიდან რუსეთში პოპულარული იყო ლოზუნგი „ჯვარი წმინდა სოფიაზე!“, რაც გულისხმობდა კონსტანტინეპოლის განთავისუფლებას მუსლიმთა ბატონობისგან და მის შეერთებას მართლმადიდებელი რუსეთის იმპერიისთვის. ახალი ძალით ამ სურვილმა თავი იჩინა 1912-1913 წლებში ბალკანეთის ომების დროს. ნიკოლოზ II-ს ისე ძალიან სურდა ამ ტერიტორიების დაკავება, რომ 1914 წლის აგვისტოში უარი თქვა თურქეთისთვის ტერიტორიული მთლიანობის გარანტიის მიცემაზე ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ.

1915 წლის მარტში რუსეთის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს საიდუმლო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც დასავლეთის სახელმწიფოები თანხმდებოდნენ რუსეთის ხელში გადასულიყო თურქეთის ტერიტორია, რაც მას ევროპაში რჩებოდა, სრუტეები ბოსფორი და დარდანელი, სრუტეების მიმდებარე თურქეთის აზიური სანაპირო.

თურქეთში დაწყებულმა სომხების ხოცვამ დღის წესრიგში მწვავედ დააყენა სომხების საკითხი. 1916 წლის აპრილში ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა შეათანხმეს ოსმალეთის სახელმწიფოს

აზიური ნაწილის გაყოფის საკითხი (ე. წ. „საიკს-პიკოს კომისია“). ამ გეგმის თანახმად რუსეთის ხელში გადადიოდა ერზერუმი, ერზინ-ჯანი, ტრაპზუნდი, რიზე, ვანი, მუში და ბიტლისი. ქურთისტანის ნაწილიც, რომელიც ვანისა და ბიტლისის სამხრეთით მდებარეობდა ასევე გადადიოდა რუსეთის ხელში. თუმცა, აქ უკვე რუსეთის ხელისუფლებაში საერთო აზრი არ არსებობდა, - შეექმნათ ამ მიწებზე, რუსეთის ხელში მყოფი სომხეთის ავტონომიური სახელმწიფო (გაერთიანებული პოლონეთის მსგავსად), თუ ეს მიწები პირდაპირ მოექციათ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ლიბერალები სახელმწიფო სათათბიროში მხარს უჭერდნენ ავტონომიური სომხეთის შექმნას, ხოლო მემარჯვენეები წინააღმდეგი იყვნენ ნებისმიერი ეროვნული არარუსული სახელმწიფოებრიობის შექმნისა.[45]

პირველი მსოფლიო ომის დროს 1915-1917 წლებში თურქეთში რუსეთის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე დაიწყო რუ-სული სახელმწიფოებრივი მოწყობა. იქ მიმდინარეობდა სტრატე-გიული რკინიგზის მშენებლობა, 1917 წლის იანვარში შეუდგნენ ევფრატის ზემო წელში ახალი კაზაკთა ჯარების ორგანიზებას.[46]

---

[45] История России. XX век. Том I. Москва: Издательство «Э», 2018, стр.417

[46] Василий Смирнов. Какой была бы территория России, если бы она не вышла из Первой мировой- https://hystory.mediasole.ru/kakoy_byla_by_territoriya_rossii_esli_by_ona_ne_vyshla_iz_pervoy_mirovoy

РОССИЯ
к России
Константинополь
ТУРЦИЯ
к России
ПЕРСИЯ
к Франции
сфера влияния Италии
к Италии
Арабское государство
(сфера влияния Франции)
к Греции
к Франции
Арабское государство
(сфера влияния Англии)
к Англии
к Англии
ЕГИПЕТ